ამცნე

საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის
საზოგადოებრივ მეცნიერებათა
განყოფილების ორგანო

10792

6
39

გამომცემლობა «მეცნიერება»
თბილისი 1967

დაღესტან-საქართველოს ურთიერთობის ისტორიიდან

ლ. მეგრელაძე

(წარმოადგინა საქ. სსრ მეცნ. აკად. ივ. ჯავახიშვილის სახ. ისტორიის, არქეოლოგიისა და ეთნოგრაფიის ინსტ.)

მთისა და ბარის ურთიერთობის საკითხი საქართველოს ისტორიაში ნაკლებ შესწავლილი საკითხთაგანია. წარმოდგენილ წერილში მოცემულია კავკასიონის მთიანეთის ერთ-ერთი ნაწილის, კერძოდ დაღესტნის საქართველოს ბართან ურთიერთობის შესწავლის ცდა.

„ლეკი“ (лезгин) საქართველოს მკვიდრისათვის დაღესტნის ტომების საერთო სახელი იყო. ამიტომ, როდესაც ქვემოთ ლაპარაკი იქნება ლეკ-ქართველთა ურთიერთობის შესახებ, იგულისხმება არა მხოლოდ საკუთრივ ლეკთა (ლაკების) ტომის ურთიერთობა ქართველებთან, არამედ საერთოდ დაღესტნის ტომებისა.

საუკუნეთა მანძილზე დაღესტან-საქართველოს შორის იცვლებოდა ურთიერთობანი. ერთი მხრივ, მათ შორის ეკონომიურ ნიადაგზე კეთილმეზობლური ურთიერთობა იყო დამყარებული, რასაც თან ახლდა კულტურული ურთიერთობანიც; მეორე მხრივ კი ეკონომიურ ნიადაგზე აღმოცენებული ურთიერთობა ამ ორ მეზობელს შორის სამტრო დამოკიდებულებაში გამოიხატებოდა. ეს იყო მთისა და ბარის არამშვიდობიანი ურთიერთობის სამი სახეობა: 1. მტაცებლური ექსპედიციები, 2. ლაშქრობანი ტერიტორიის დაპყრობის მიზნით, 3. ლაშქრობანი მუდმივი საშემოსავლო ბაზის შექმნის მიზნით. ამ მტრული ურთიერთობის ორგანიზატორები უმთავრესად დაღესტნის ფეოდალები და ტომების ბელადები იყვნენ, რომელთა სახელები მრავლად შემოუნახავს ქართულ თუ არაქართულ წყაროებს: თარღუს შამხალი (Шамхал тарковский), ნურსალ-ბეგი, ომარ-ხანი, ზუბეიდალა, ჩონჩოლ-მუსა. კოხტა-ბელადი, ბენდა და ა. შ.

დაღესტნელი ხალხი ამ ექსპედიციებში ყოველთვის ხალისით როდი მონაწილეობდა. ქართულ წყაროს ცნობა შემოუნახავს, რომ ყვარლის ციხეზე გამოლაშქრებულ ხუნძახის ბატონს ჯარის ნაწილი დაღესტნიდან იძულებით წამოუყვანია. „წამოიყვანა პირიქით და პირაქეთი რაც ლეკი იყო, ყველას გამოართო ზოგს ძალად და ზოგს ნებითო“—მოგვითხრობს პაპუნა ორბელიანი[1].

დაღესტნელ ფეოდალთა და ბელადების მიერ მოწყობილი მტაცებლური ექსპედიციების აღსანიშნავად ქართულ საბჭოურ ისტორიოგრაფიაში დამკვიდრებულია ცნება „ლეკიანობა“, ან „ლეკობა“. ამავე სახელითაა ცნობილი ეს მოვლენა ფეოდალური ხანის ნარატულ თუ დოკუმენტურ წყაროებში.

ამ ურთიერთობის აღსანიშნავად გამართლებულად მიგვაჩნია ვიხმაროთ

---

[1] საქართველოს ცხოვრება, II, თბ., 1913 (ზ. ჭიჭინაძის გამ.), გვ. 22. ხაზგასმა ჩვენია. დ. მ.

სიტყვა „ლეკიანობა“ და არა „ლეკობა“. თუ ვიხმარდით ცნებას „ლეკობა“, მაშინ უნდა გვევარაუდნა ისეთი მოვლენა, როგორიც იყო: „არაბობა“, „სპარსობა“, „ოსმალობა“, „ყიზილბაშობა“ და ა. შ. მაშასადამე, ისეთი მოვლენა, როდესაც მოსული უცხოელები თავისი წეს-ჩვეულებებით აქ ბატონობენ. ლეკთა ურთიერთობანი კი საქართველოს მიმართ ასეთ ხასიათს არ ატარებდა. ლეკი თავდასხმები ჩვეულებრივად არ იყო ხანგრძლივი. ისინი, პატარა-პატარა რაზმებად დანაწილებულები, ხან ერთ მხარეს ესხმოდნენ თავს, ხან მეორეს. ამიტომ მიზანშეწონილად მიგვაჩნია, ამ მოვლენას ვუწოდოთ „ლეკიანობა“, ანალოგიურად „ჭირიანობისა“, „შიშიანობისა“, „ომიანობისა“ და სხვა.

„ლეკიანობამ“ დიდი ზიანი მიაყენა ფეოდალურ საქართველოს. ეს თავდასხმები ანადგურებდა მწარმოებელ საზოგადოებას, შლიდა მეურნეობას, აუდაბურებდა მთელ რიგ მხარეებს, ძლიერ გავლენას ახდენდა სოციალურ ურთიერთობაზე ქვეყნის შიგნით. ამავე დროს ეს მოვლენა მჭიდროდ უკავშირდებოდა ა/კავკასიაში ირან-ოსმალეთის აგრესიას. ამიტომაა, რომ რიგი კონკრეტული მოვლენა ფეოდალური ხანის საქართველოში შეუძლებელია ახსნილ იქნეს დაღესტან-საქართველოს ურთიერთობის გათვალისწინების გარეშე.

* * *

„ლეკ“—ქართველთა ურთიერთობა ბევრად ადრე ჩანს, ვიდრე იწყება „ლეკიანობა“. ქართველი ისტორიკოსები: ლეონტი მროველი, ჯუანშერი, დავით აღმაშენებლის ისტორიკოსი, „ჟამთააღმწერელი“ და სხვანი იცნობენ „ლეკებს“ და მოგვითხრობენ მათ შესახებ. ამ ისტორიკოსთა ცნობებით, „ლეკები“ ხშირად გადმოყავთ ა/კავკასიაში მებრძოლ მხარეებს სხვა ტომებთან ერთად. როგორც ჩანს, „ლეკები“ ა/კავკასიაში მოქირავნეებად გადმოდიოდნენ.

დავით აღმაშენებლის დროიდან კი, როდესაც გაერთიანებული საქართველოს ჩრდილოეთი საზღვარი „ნიკოფსით ვიდრე დარუბანდამდე“ მიდიოდა, ლეკების ტერიტორიის ნაწილი საქართველოს საზღვრებში ექცევა.

XII ს. 20-იან წლებში ზოგიერთი დაღესტნელი ტომები დავით აღმაშენებელთან ერთად იბრძოდნენ შირვანში თურქ-სელჯუკ დამპყრობთა წინააღმდეგ. ამის შედეგად იყო, რომ დავითმა „აღავსნა კეთილთა და საბოძვართა ქურდნი, ლეკნი და თარასნი“[2].

დაღესტან-საქართველოს შორის კეთილი ურთიერთობა გვიან ხანებშიაც გრძელდებოდა. XVIII ს. 40-იან წლებში, როდესაც ნადირ-შაჰმა განიზრახა შიმშილით ამოეწყვიტა თავისუფლებისმოყვარე დაღესტნელები, კახელებმა თავიანთი ოჯახებითურთ შეიფარეს მთიელები.

საქართველოსა და დაღესტანს შორის უძველესი დროიდან არსებობდა ეკონომიური კავშირი, წარმოებდა სასაქონლო გაცვლა-გამოცვლა. მთისა და ბარის ეკონომიური ურთიერთობა თავისებურებით ხასიათდება, რაც მთისა და ბარის მეურნეობის სხვადასხვაობითაა გამოწვეული. მთიან დაღესტანს საკუთარი მარცვლეულით თავი ვერ გაჰქონდა. ამიტომ ძირითადი პროდუქტი, რაც დაღესტანში შედიოდა, იყო მარცვლეული. მისთვის მარცვლეულის ერთ-ერთი მიმწოდებელი საქართველო იყო.

XVIII ს. არაბული ანონიმი „ჭარის ომების ქრონიკა“ გადმოგვცემს.

---

[2] ქართლის ცხოვრება, ტექსტი დადგენილი ყველა ძირითადი ხელნაწერის მიხედვით ს. ყაუხჩიშვილის მიერ, ტ. I, 1955, გვ. 345.

რომ ჭარელები და თალაელები მიდიოდნენ გავაზში, ყვარელსა და ქიზიყში, სადაც ყიდულობდნენ ხორბალს, სიმინდსა და მარილსაო. ლეკები გავაზსა და ყვარელში მარცვლეულს ყიდულობდნენ ისეთ შემთხვევაში, როდესაც თავიანთ ქვეყანაში მარცვლეულის ფასი აიწევდა ხოლმე. „ჭარის ომების ქრონიკა“ გადმოგვცემს, რომ როდესაც ნადირ-შაჰმა დაღესტანს შეუტია, ჭარელები და „სხვები“ (იგულისხმება დაღესტნელი ტომები, დ. მ.), ხშირად მიდიოდნენ გავაზსა და ქიზიყში ხორბლისა და სიმინდის საყიდლად, რადგან ქახეთში თაღარი ხორბალი სამი ალთუნი ღირდა, როდესაც ჭარში თორმეტი ალთუნიო[3].

საყურადღებოა პაპუნა ორბელიანის ცნობაც: ...„ლეკი ბევრი ჩამოსულიყო ბორჩალოში პურისათვის, შერიგება ეგონათო“[4].

გარდა მარცვლეულისა საქართველოდან დაღესტანში გადიოდა ღვინო და არაყი[5].

ლითონის დამუშავებით განთქმული დაღესტნელი ხელოსნები ხშირად ნედლეულს საქართველოდან ღებულობდნენ. 1796 წ. დაწერილ წერილში ერეკლე II წერდა: „ანწუხელნო თერთმეტნო ჯამაჰათის გამოგზავნილნო! თქვენთვისა თერთმეტი ლიტრა გაკეთებული სპილენძი[6] ქალაქიდამ დაგვიბარებია. თორმეტს დღეს უკან ვისის ჴელითაც ამ ჩვენ ბარათს გამოგვიგზავნით ამ თერთმეტს ლიტრას სპილენძს იმის ჴელით გამოგიგზავნითო“[7].

სპილენძი ლეკებს „სახსრად“—ე. ი. ტყვის გამოსახსნელ საფასურშიაც მიჰქონდათ[8].

დიდი რაოდენობით მიდიოდა საქართველოდან დაღესტანში აბრეშუმის ქსოვილიც. 1803 წ. ევგენ აბაშიძის განცხადებით, „ლეკებს თუ სხვა მთიელებს“ 3000 თუმანზე მეტი და არა ნაკლები ღირებულების ფარჩა მიეცემოდათ[9], ხოლო სურამის ყოფილი მოურავის სიტყვებით, „ლეკებსაც მიეცემოდა შვიდი-რვა ათასი თუმნის ფარჩა“[10].

საქართველოდან ღებულობდნენ ლეკები ლეინსაც: „ბაზაზბაში კაკალო! ხუთი ლეინიც გაარიგე ლეკებისათვის... ქ. სამი ლეინიც მიეც“—წერდა გიორგი XIII 1800 წ.[11]. ლეკებს საქართველოდან გაჰქონდათ ლილაც[12].

ზემოთ აღნიშნული საქონლის დიდი ნაწილი ლეკებს „სალეკო“ გადასახადის სახით მიჰქონდათ. მაგრამ ჩვენ არ ვფიქრობთ, რომ ამ საქონლის შეტანა დაღესტანში საქართველოდან მხოლოდ „სალეკოს“ სახით ხდებოდა... თუ

---

[3] Хроника войн Джара, Баку, 1931, стр. 36, 38.

[4] პაპუნა ორბელიანი, ამბავი ქართლისა. ზ. ჭიჭინაძის გამ., ტფ., 1913.

[5] აკად. კ. კეკელიძის სახ. ხელნაწერთა ინსტიტუტი Hd 11990, 12224 და სხვ.

[6] „გაკეთებული სპილენძი“, ნ. რეხვიაშვილის ცნობით, ლეჩხუმში სპილენძის ფურცლებს ეწოდებოდა, რომელსაც შემდეგ გამოჭედავდნენ ხოლმე.

[7] ხელნაწერთა ინსტ., Hd 4874.

[8] ნ. ბერძენიშვილი, მასალები საქართველოს ეკონომიური ისტორიისათვის. II. თბ., 1953, გვ. 187.

[9] შ. მესხია, მასალები ქართლ-კახეთის სამეფოს სამოხელეო წყობის ისტორიისათვის. მასალები საქართველოს და კავკ. ისტორიისათვის, თბ., 1948, 1(26). № 18.

[10] ნ. ბერძენიშვილი, მასალები საქართველოს ეკონომიური ისტორიისათვის. III. № 249.

[11] ხელნაწ. ინსტ. Hd 11706.

[12] Пурцеладзе Д., Грузинския крестьянския громоты , Тифл., 1882, стр. 60.

საქართველოდან დაღესტანში მარცვლეული, ღვინო-არაყი, ქსოვილები (აბრ., შუმის—ფარჩა და ბამბის—ლეინი), სპილენძი, საღებავები (ლილა) გადიოდა, სა- მაგიეროდ დაღესტნელებს საქონელგაცვლის მიზნით, ზოგჯერ ძღვენისა და სხვა სახით, თავიანთი ნაწარმი შემოჰქონდათ საქართველოში. ყველაზე დიდი მოწონება დაღესტნური ნაწარმიდან საქართველოში ბოჭკო-მაღალ წამოსასხამ ლეკურ ნაბდებს ჰქონდათ. თვით ერეკლე II ლეკური ნაბდით იმოსებოდა 1796 წ. იგი წერს ნაიბ კაკალოს: „ლეკების მორთმეული ნაბდებიდამ ერთი ნაბადი ჩემთვის გამოგზავნეთო“[13]. ლეკურ ნაბდებზე რომ საქართველო- ში დიდი მოთხოვნილება იყო, ეს ჩანს მანუჩარ მდივნისადმი მიწერილ ერთ წერილშიაც[14]. საუკეთესო საჩოხედ ითვლებოდა საქართველოში დაღესტნიდან შემოტანილი „ქობაჩის შალი“. საერთო მოწონება ჰქონდა დაღესტნური შალის ნაწარმს, როგორიც იყო „ლეკური შალი“[15], „ლეკური ხალიჩა“[16], „ლეკური ფარდაგი“[17], „ლეკური ორხუა“[18], უხეშ შალის ქსოვილს ყისინას[19] და ასე შემდეგ.

გვიან ხანებში კახეთში საყოველთაო მოწონება „დაღესტნიდან და არ- ზუმიდან მოტანილ ფლოსტებსა და ქოშებს ჰქონდათ მოპოვებული“[20]. საყო- ველთაო მოწონებას იმსახურებდა, აგრეთვე, დაღესტნიდან შემოტანილი სამ- კაულები და ცივი იარაღი „ლეკური“.

1812 წ. რუსეთის ფინანსთა მინისტრი აღნიშნავდა, რომ კუბაჩელებიდან და ლეკებიდან საქართველოში დიდი რაოდენობით შემოდიოდა სხვადასხვა სა- ხის მაუდი, უმეტესად მუქი ფერის, საქართველოს მოსახლეობის ყველა ფენი- სათვის. ასევე დიდი რაოდენობით შემოჰქონდათ ნაბდები, იარაღი მოოქვრი- ლი და ვერცხლის ბუდეებით, ცხენებისა და საქონლისათვის შალის გადასა- ფარებლები (попоны), კვერნისა და მელის ტყავები, ცვილი და ნედლი აბრე- შუმი. ხოლო საქართველოდან გადიოდა ლეინი, წითელი (кумач) და და- ჩითული (выбойки) ქსოვილები, ბამბის ქსოვილები, რუსული ტილო, წით- ლი სპილენძი და სხვ.[21]

ეკონომიურ ურთიერთობას თან სდევდა კულტურული ურთიერთობაც. სამწუხაროდ, ჩვენ ცნობები არა გვაქვს ადრეული ხანის დაღესტან-საქართვე- ლოს ეკონომიური ურთიერთობის შესახებ, მაგრამ ის კულტურული ურთი- ერთობა, რომელიც დაღესტან-საქართველოს შორის არსებობდა, ვფიქრობთ, აღმოცენებული იყო ეკონომიური ურთიერთ დაახლოების შედეგად.

ჩვენ ვთვლით, რომ დაღესტანში საქართველოს გარიდან ქრისტიანული მოძღვრების გავრცელებას არა მხოლოდ სოციალურ-პოლიტიკური მნიშვნელო- ბა ჰქონდა, არამედ კულტურულიც. „უამთააღმწერლის“ ცნობით, გარეჯიდან

---

13 ხელნაწ. ინსტ., Hd 12191.
14 ნ. ბერძენიშვილი, მასალები საქართველოს ეკ. ისტ., II, გვ. 295.
15 იქვე, გვ. 311; აგრეთვე, წ. III, № 131.
16 იქვე, III, № 131.
17 იქვე, № 320.
18 იქვე, № 253.
19 ხელნაწ. ინსტ. Hd 3226, 11695 და ა. შ.
20 ლ. ბოჭორიშვილი, კახური ჩაცმა-დახურვა, ანალები, I, თბ., 1947, გვ. 209.
21 Акты, собранные Кавк. Археогр. Ком., V, Тифл., 1773, стр. 334.

ბელქანს წასულმა პიმენ სალოსმა „ნათესავი ლეკთა წარმართობისაგან მოაქცივნა, რომელი ჰგიან სარწმუნოებასა ქრისტესა“[22].

ივ. ჯავახიშვილი დიდ მნიშვნელობას ანიჭებდა ქართველ მქადაგებელთა ამ მოღვაწეობას: „მაშინაც კი, როდესაც საქართველო მონღოლთა შემოსევისა და ბატონობის წყალობით პოლიტიკურად დასუსტებული იყო, ქართველ ერს იმოდენი კულტურული ძალა შესწევდა, რომ თავისი განმანათლებელი მოღვაწეობა არ შეუწყვეტია და დაღესტანში ქრისტიანობა გაუვრცელებია“[23]. ხოლო „ქართველი ერის ისტორიის“ IV წიგნში ივ. ჯავახიშვილი აღნიშნავდა, რომ „დაღესტანში თვით ხუნძახამდის ქართველ მქადაგებელთა წყალობით ქრისტიანობა იყო გავრცელებული, ეკლესიები არსებობდა და ეპისკოპოსი იჯდა“[24].

დაღესტნის ტერიტორიის გარკვეულ ნაწილში რომ, მართლაც, ქართული კულტურა იყო გავრცელებული, ამის დადასტურება ისაა, რომ დაღესტნიდან ცნობილია არა ერთი ლაპიდარული ხასიათის ძეგლი, შესრულებული ქართული ასოებით ქართულ ენაზე, ან შესრულებული ქართული ასოებით ხუნძურ (დაღესტნის) ენაზე, რომელთაც გამომცემები XIV ს. ათარიღებენ[25].

საქართველოსთან კულტურული ურთიერთობის შედეგი იყო, აგრეთვე, დაღესტანში ქართული ეკლესიების არსებობა[26].

„სინას მთის ქართულ ხელნაწერთა აღწერილობაში“, სულთა მატიანეში მოხსენიებულია ღუძელი კათალიკოსი ოქროპირი[27]. განსვენებული აკად. ნ. ბერძენიშვილი ამ ცნობის საფუძველზე ფიქრობდა, რომ შესაძლებელია „ღუძელი კათალიკოსი“ ხუნძაში მჯდარიყო და ხუნძახიც საქართველოს საპატრიარქოში შემავალ ერთ-ერთი საკათალიკოსო ყოფილიყო[28].

XV საუკუნიდან საქართველოს გავლენა დაღესტანზე სუსტდება. „XV საუკუნიდან მოკიდებული აქ (დაღესტანში, დ. მ.), ისევე როგორც სხვაგან კავკასიის მთიანეთში, ქრისტიანობა სუსტდება და განსხვავებით დანარჩენი მთიანეთისაგან ქრისტიანობის ადგილს აქ მაჰმადიანობა იჭერს“—აღნიშნავდა ნ. ბერძენიშვილი[29].

თუ XIII—XIV სს. დაღესტნის მთიანეთში საქართველოს გავლენა ვრცელდებოდა, XVI საუკუნიდან ქართულ და რუსულ წყაროებში უკვე ჩნდე-

---

22 ქართლის ცხოვრება, II, თბ., 1959, გვ. 283.

23 ივ. ჯავახიშვილი, საქართველოს საზღვრები, ტფ., 1919, გვ. 11.

24 ქართველი ერის ისტორია, IV, თბ., 1948, გვ. 302.

25 Такайшвили Е., Археологические экскурсии, вып. II, Тифл., 1905, стр. 63; არ ნ. ჩიქობავა, ქართულ-ხუნძური წარწერა XIV საუკუნისა დაღესტნიდან, სსრკ მეც. აკად. საქართველოს ფილიალის მოამბე, ტ. I, № 14, თბ., 1940; ტ. გუდავა, ორი წარწერა (ქართული და ქართულ-ხუნძური) დაღესტნიდან, მასალები საქართველოს და კავკასიის ისტორიისათვის, ნაკვ. 30, თბ., 1954.

26 შვერლინგი რენე, ტაძარი სოფ. დათუნას მახლობლად მდ. ავარიის კოისუს ველზე. ქართული ხელოვნ. ინსტ. XI სამეცნ. სესია (თეზისები), 1956 წ.

27 ი. ჯავახიშვილი, სინას მთის ქართულ ხელნაწერთა აღწერილობა, თბ., 1947, გვ. 244.

28 ეს მოსაზრება განსვენებულმა ნ. ბერძენიშვილმა ჩვენთან პირადი საუბრის დროს გამოთქვა.

29 ნ. ბერძენიშვილი, აღმოსავლეთ კახეთის წარსულიდან, მიმომხილველი, III, თბ., 1953, გვ. 74.

ბა ცნობები „ლეკების“ ბარზე შემოტევების შესახებ. მაგრამ ეს შემოტევები ჯერჯერობით მხოლოდ ეპიზოდურ ხასიათს ატარებდა. შაჰ-აბასის ლაშქრობებამდე „ლეკების“ შემოტევებს ქართველები იგერიებენ.

* * *

ზემოთ აღნიშნული იყო, რომ დაღესტან-საქართველოს ურთიერთობის ერთ-ერთი სახეობა ეკონომიურ ნიადაგზე აღმოცენებული სამტრო დამოკიდებულება იყო.

ვ. ბარდაველიძეს ხევსურეთის მაგალითზე მთიანეთის პირობებისათვის დადგენილი აქვს სამი სახის ლაშქრობანი: „1. მტაცებლური ექსპედიციები, რომლის დროსაც ქონების, განსაკუთრებით საქონლისა და აგრეთვე ტყვეების გატაცება ხდებოდა.

2. მსხვილი თემების მმართველი ხელისუფლება მიზნად ისახავდა ტერიტორიის დაპყრობას იმისათვის, რომ დაპყრობილ ტერიტორიაზე თავისი მოთემენი დაესახლებინა და ამ მიწის ექსპლოატაცია ეწარმოებინა. დაბოლოს,

3. დამპყრობლობითი ლაშქრობანი ეწყობოდა მუდმივი საშემოსავლო ბაზის შექმნის მიზნით. ამ ბაზას შეადგენდა ყოველწლიური გადასახადი, რომელსაც დამპყრობელი თემი დამორჩილებულ თემს ადებდა...“[30].

ასეთივე მოვლენებთან გვაქვს საქმე დაღესტან-საქართველოს ურთიერთობაშიც. საქართველოს ბარში დაღესტნის ტომები აწყობდნენ: 1. მტაცებლურ ექსპედიციებს, რომლის დროსაც იტაცებდნენ ქონებას, საქონელსა და ტყვეებს; 2. ლაშქრობებს ტერიტორიის დაპყრობის მიზნით, რათა თვითჩამოსახლებულიყვნენ ბარში, მაგ. 1754—55 წწ. მოწყობილი დაღესტნელთა ლაშქრობა; 3. დაღესტნელებმა „იძმეს“ ქართველი გლეხები, რაც შემდეგ „ლეკების“ „ბატონობაში“ გადაიზარდა, მუდმივი საშემოსავლო ბაზის შექმნის მიზნით.

მეზობელ ბარის მოსახლეობაზე ასეთივე მიზნებით თავდასხმებს აწარმოებდნენ ჭისტები, ოსები, და სხვ. ვახუშტი ბატონიშვილის ცნობით, ოსები „ტყვის მსყიდველნი“[31] არიან.

ეს მოვლენები დაკავშირებული იყო მთიანეთის მეურნეობის თავისებურებებთან. მთიან პირობებში ძალიან ნელა მიმდინარეობდა მეურნეობის განვითარება. ფ. ენგელსი ავგ. ბებელისადმი მიწერილი წერილში 1875 წ. აღნიშნავდა: «Между отдельными странами, областями и даже местностями всегда будет существовать известное неравенство в жизненных условиях... Обитатели гор всегда будут жить в других условиях, чем жители равнин»[32].

დაღესტნის მთაში ნელა ვითარდებოდა სოფლის მეურნეობა. მოწეული მოსავალი მოსახლეობას 3—4 თვეს ყოფნიდა. დაღესტნის შინამრეწველობა ნაწარმს: შალეულს, ლითონის ნაწარმს და ა. შ. თუმცა მოწონება დიდი ჰქონდა, მაგრამ ვერ აკმაყოფილებდა დაღესტნელ ფეოდალთა მოთხოვნილე-

---

[30] ვ. ბარდაველიძე, ხევსურული თემი სტრუქტურა და ჯვარის ყმობის ინსტიტუტი, საქართველოს სსრ მეცნ. აკად. მოამბე, ტ. XIII, № 8, 1952, გვ. 500.

[31] ვახუშტი, აღწერა სამეფოსა საქართველოსა, თბ., 1941, გვ. 109, 173.

[32] Архив Маркса и Энгельса, т. I (VI). Москва, 1932, стр. 84.

ბეგს. ამიტომ მთიელ ფეოდალებს გამუდრებისათვის დამატებითი წყარო-ები სჭირდებოდათ, რის გამოც მიმართავდნენ მტაცებლურ თავდასხმებს.

ვახუშტი ბატონიშვილს მოთხრობილი აქვს ისთა შესახებ, რომ „არია უწ-ყიან ისანი, არამედ თვითისა წილ ნაბადი, ჩოხა, ხამი, შალი, ცხვარი, ძროხა და ტყვე და ვაჭრობენ ერთიერთსა შინა ამით“[33]. იქ, სადაც ვახუშტი ლაპა-რაკობს ისთა მიერ ტყვეების გასყიდვაზე, ხაზს უსვამს იმ გარემოებას, რომ ტყვეს არა თავისას ე. ი. არა ოსს ჰყიდიან: „ტყვის მყიდველნი, გარნა არა თჳსთა ჰყიდიანო“[34].

ასევე შეიძლება ითქვას, კერძოდ, დაღესტნის მთიანეთის შესახებ. დაღეს-ტნის არც ერთ ნაწილში არ იჭრებოდა საკუთარი ფული—მონეტა. ტრიალში არ იყო არც ცალკეული ფულები[35]; ამიტომ იყო, რომ ხშირად სხვა საგნებთან და საქონელთან ერთად საცვლელ ექვივალენტად ისე. როგორც ოსებში, იხმარე-ბოდა ტყვე. კ. მარქსის სიტყვებით: „ადამიანი ხშირად ადამიანს მონის სახით ფულის თავდაპირველ მასალად იყენებდა“[36].

ტყვეების გადაცვლით მთიელი ფეოდალები და ტომთა მეთაურები იძენ-დნენ თავიანთთვის საჭირო საგნებს.

მთიელებმა რომ მხოლოდ გარკვეული დროიდან შესძლეს საქართველოს ხარჯზე იძლეურება, ერთი მხრივ, ამის მიზეზი საქართველოს პოლიტიკური და სოციალური პირობები იყო, ხოლო, მეორე მხრივ, დაღესტანში ოსმალე-თის გაძლიერების გაზრდა. საქართველოდან ტყვეების გატაცებამ განსა-კუთრებით ფართო ხასიათი მიიღო მას შემდეგ, რაც დაღესტნის ფეოდალები და ტომთა წვლილები ოსმალეთის აგრესიის იარაღად იქნენ გამოყენებული კავკასიაში.

გატაცებულ ტყვეებს მთიელები მეურნეობაში ვერ იყენებდნენ მეურნე-ობის დაბალი დონის გამო. ამიტომ ტყვეები მიჰყავდათ „ამანათებად“ ე. ი. იმ მიზნით, რომ ისინი დაეხსნათ პატრონებს. მხოლოდ ასეთი მიზნით იტაცებ-დნენ დაღესტნელები ტყვეებს იმ დრომდე, ვიდრე მათ ფართო გასაქანს მისცემდა ოსმალეთის ტყვეების ბაზარი.

კ. მარქსი ალნიშნავდა, რომ „ადამიანმა რომ მთელი საუკუნეები ძარ-ცვა-გლეჯით იცხოვროს, ამისათვის მუდამ უნდა მოეპოვებოდეს საძარცვა-ვი რამ, ე. ი. საძარცვი საგნის განუწყვეტელი რეპროდუქცია უნდა ხდე-ბოდეს“[37].

საქართველოს განვითარებული ფეოდალური მეურნეობა და მზარდი მოსახლეობა „ლეკებისათვის“, გარკვეული დროის განმავლობაში, საძარ-ცვი საგნის განუწყვეტელი რეპროდუქციის წყაროს წარმოადგენდა. მეო-რე მხრივ, იმის მიზეზი, რომ დაღესტნელი ფეოდალები განაგრძობენ „ყაჩა-

[33] ვახუშტი. აღწერა..., გვ. 111.
[34] იქვე, გვ. 109.
[35] Пахомов Е. А. Монетные клады Азербайджана и Закавказья, I Баку, 1926; Монетные клады Азербайджана и других республик, краев и областей Кавказа, т. II, 1938; т. III, 1940; т. IV, 1949, დაღესტანში აღმოჩენილი უცხოური მონეტე-ბის ძირითადი ნაწილი ფარულობაში ან მის მახლობლადაა ნაპოვნი. ეს გასაგებიცაა, რადგან ფარულობა ის პუნქტი იყო, სადაც გადიოდა უძველესად მნიშვნელოვანი სავაჭრო გზები.
[36] კ. მარქსი. კაპიტალი, I, გვ. 54.
[37] იქვე, გვ. 48.

ლურ“ მეურნეობას, ის იყო, რომ მათ საქონელს—ტყვეს დიდი ხნის განმავლობაში ჰყავდა გამსაღებელი ოსმალეთის სახით.

კახეთის მეფის დავით II-ის წერილებიდან ირკვევა, რომ „ლეკები“ ღამის გადიდებასა და აგრილებასთან ერთად, ე. ი. შემოდგომის დადგომისას, აძლიერებდნენ თავიანთ თავდასხმებს[38]. ამის მიზეზი ის იყო, რომ „მეჯოგური მეურნეობის“ მჭონე დაღესტნელი ტომებისათვის აუცილებელი იყო საზამთრო საძოვრები. როგორც კი ზაფხული მიიწურებოდა, „ლეკები“ ზაფხულის საძოვრებიდან—იალაღებიდან ზამთრის საძოვრებისაკენ—ყიშლაღებისაკენ დაეშვებოდნენ. კახეთის ბარში შესანიშნავი საზამთრო საძოვრები იყო. გაერთიანებული საქართველოს პოლიტიკური ძლიერების ხანაში ამ საძოვრებით თვით საქართველოს მოსახლეობა სარგებლობდა. XVIII ს. დასაწყისისათვის კი, როგორც ჩანს, დაღესტნელები თავისუფლად ჩამოდიოდნენ კახეთის საზამთრო საძოვრებზე.

საზამთრო საძოვრებზე ჩამორეკილ საქონელს თან მოჰყვებოდნენ პატრონები—დაღესტნის ფეოდალები და ტომთა ბელადები. ამიტომ იყო, რომ შემოდგომის დადგომასთან ერთად ლეკების მხრივ საშიშროებაც მატულობდა. „იალაღიდან ჩამობრუნდნენ. ღამე გადიდდა და აგრილდა. ახლა ესენი („ლეკები“, დ. მ.) ლაშქრობისაგან აღარ მოისვენებენ“—აცნობებდა კახეთის მეფე დავით II ქართლის მეფეს ვახტანგ VI-ს.

როგორც აღნიშნული იყო, „ლეკების“ თავდასხმების ძირითადი მიზანი ტყვეების გატაცება იყო. საქართველოდან გატაცებულ ტყვეებს მთიელები ოსმალეთისა და სპარსეთის ბაზარზე ასაღებდნენ. მოტაცებული ტყვეები ოსმალეთის ბაზარზე ლეკებს ორი გზით მიჰყავდათ: პირველი გზა ჭარ-ბელაქნიდან დაღესტანში გადიოდა, დაღესტნიდან კი ყირიმში, მეორე—ახალციხიდან პირდაპირ ოსმალეთისაკენ, საიდანაც ტყვეები გაჰყავდათ ეგვიპტეში, ალჟირში, არაბეთსა და სხვა ქვეყნებში. XVIII ს. 30-იან წლებში სტამბოლში მყოფ კათალიკოს დომენტის უნახავს 50 ქართველი ტყვე, რომლებიც შემდეგ ალჟირში, ეგვიპტესა და არაბეთში გაუყიდიათ[39]. ლეკები ტყვეებს სპარსეთშიაც ყიდდნენ, მაგრამ ტყვეთა მთავარი გამსაღებელი მაინც ოსმალეთი იყო.

კავკასიის რუსეთთან შეერთების შემდეგ, რეფორმის შემდგომ ხანაში, როგორც აღნიშნავდა ვ. ი. ლენინი, ხდებოდა რუსეთის მიერ კავკასიის ეკონომიური „დაპყრობა“[40], რაც გავლენას ახდენდა კავკასიის ხალხების, კერძოდ, კავკასიის მთიანეთის მოსახლეობის, ეკონომიურ და სოციალურ განვითარებაზე. მას შემდეგ, რაც რუსეთის კაპიტალიზმმა კავკასიის მთიანეთის მოსახლეობა მსოფლიო საქონელბრუნვაში ჩაითრია, მთიელები თანდათან ებმებიან განვითარებულ სამეურნეო-პოლიტიკურ ცხოვრებაში. ამისდაკვალად თანდათან, ერთი მხრივ, ახალი ეკონომიური პირობების ბაზაზე, ხოლო, მეორე მხრივ, ოსმალეთის გავლენის შესუსტებასთან ერთად იცვლებოდა დაღესტან-საქართველოს ურთიერთობანიც.

---

[38] დ. მეგრელაძე, მასალები XVIII ს. ოციანი წლების ქართლ-კახეთის ისტორიისათვის, მასალები საქართველოსა და კავკ. ისტორიისათვის, ნაკვ. 33, თბ., 1960, გვ. 154.

[39] აგრ. ქ. კეკელიძის სახ. ხელნაწ. ინსტიტუტი, Hd 4843.

[40] ვ. ი. ლენინი, თხზულებანი, III, 1948, გვ. 703—704.

XVI ს-დან ქართულ და რუსულ წყაროებში უკვე ჩნდება ცნობები დაღესტნელთა შემოტევების შესახებ. ამ დროიდან ლეკ-ქართველთა ურთიერთობა უკვე „ლეკიანობის" ხასიათს ატარებს, რაც იმაში გამოიხატება, რომ დაღესტნის მოსახლეობის პატარა-პატარა ჯგუფები ძარცვის მიზნით თავს ესხმიან საქართველოს მიწა-წყალს. ამ თავდასხმების ორგანიზატორები დაღესტნის მოსახლეობის პრივილეგირებული ფენები არიან: ხანები, უცმიები, ბეგები, შამხლები, „ბელადები" და ა. შ.

XVI ს-სათვის დაღესტნელთა შემოტევები უმეტესად ეპიზოდურ ხასიათს ატარებს. ქართველები ამ შემოტევებს იგერიებენ.

ვახუშტი ბატონიშვილს მოთხრობილი აქვს, რომ კახეთში ლევანის მეფობის დროს (1520—1574 წწ.) გაღმა მხარს თავს დასხმია ლეკი და გაუტაცნია ძროხა. ლევანის სპა დასდევნებია და სასტიკად გასწორებია თავდამსხმელს, „რათა არა კადნიერ იქმნენ სხვანი კვლად კირთებად კახეთისა"[41].

XVI—XVII სს. დაღესტან-საქართველოს ურთიერთობის ისტორიისათვის ემთავრესად რუსული მასალაა. ამ დროისათვის საქართველოში ლეკიანობის ორგანიზატორი შამხალია. დაღესტნის სამხრეთ-აღმოსავლეთით მდებარე ფეოდალური ერთეული სამამხალო ამ პერიოდისათვის ოსმალეთის გავლენის ქვეშ იმყოფებოდა. ივ. ჯავახიშვილის აზრით, „შამხალის მტრობა და თავდასხმა კახეთზე ნამდვილად იმავე ოსმალების პოლიტიკური და სამხედრო გეგმის შედეგი იყო და ერთგვარი ნიადაგის წინასწარი შემზადება მომავალი მოქმედების გასაადვილებლად"[42].

პირველ ხანებში ქართველები მთიელთა შემოტევებს დამოუკიდებლად იგერიებდნენ. სამამხლოში ოსმალეთის გავლენის გაზრდასთან ერთად გაბედირდა და გაძლიერდა მთიელთა შემოტევებიც, რომლის წინააღმდეგ ბრძოლებში ქვეყანა უძლური აღმოჩნდა. ალექსანდრე კახთა მეფე იძულებული გახდა, ქვეყნის დასაცავად ეცხო ძალისათვის მიემართა. მას საომედო მოკავშირედ ამ შეხვედრაში რუსეთი მიაჩნდა. ძირითადი მოთხოვნები, რომელთაც ალექსანდრე რუსეთის კარს უყენებდა, ეს იყო შამხლისა და მთიელებისაგან დაცვა. მოსკოვის კარი კახეთის მეფეს პირდებოდა, რომ მთიელებს დაიმორჩილებდა. მაგრამ რუსეთის ლაშქრობებს სამამხლოს წინააღმდეგ (1591, 1594) ეფექტური შედეგები არ მოჰყოლია. პირიქით, შამხალმა სხვა მთიელებიც გააერთიანა და მეტი ენერგიითაც შემოუტია კახეთს. კახეთის მეფე იძულებულიც კი გამხდარა შამხლისათვის დასაშოშმინებლად მოსაკითხი გაეგზავნა[43].

1605 წ. რუსეთის ჯარმა წარმატებით შეუტია სამამხლოს. კახეთის მხრიდანაც მთიანეთზე გალაშქრება დროული ჩანდა, მაგრამ ამ სურვილებს წინ ეღობებოდა შაჰის ერთგული ქართველი უფლისწულის ზრახვები... თორმეტ მარტს დატრიალებულმა ტრაგედიამ გამარჯვება კოსტანტინეს არგუნა. ეს გამარჯვება ირანის გამარჯვება იყო.

რუსეთ-საქართველოს ურთიერთობა რამდენიმე ათეული წლით შეწყდა. საქართველო ურთიერთშორის მებრძოლ ირან-ოსმალეთის შემყურე დარჩა. ოსმალეთი გადამწყვეტი ბრძოლისათვის ემზადებოდა, ირანის ტახტზე ასული შაჰ-აბასი ახლა უკვე ძნელად დაეთმობდა რამეს ოსმალეთს.

---

[41] ვახუშტი, დასახ. ნაშრ., გვ. 164.

[42] ივ. ჯავახიშვილი, ქართველი ერის ისტორია, IV, გვ. 302.

[43] Белокуров Ал., Сношения России с Кавказом (1578—1613). Москва, 1889, стр. 301-302.

XVI ს. მიწურულს ირანის სახელმწიფოში ჩატარებულმა რეფორმებმა სახელმწიფოს შინაგანი სიმტკიცე შესძინა. ირანის პოზიციების განმტკიცების საშამხლოს საკითხი გაამწვავა. შამხალმა რუსეთის წინააღმდეგ დახმარებისათვის ირანს მიმართა. ეს კავშირი კახეთისათვის სახიფათო ჩანდა. კახეთზე შამხლის ინიციატივით მოწყობილი თავდასხმები შაჰისათვის ხელსაყრელი იყო.

XVII ს. დამდეგს შაჰ-აბასმა ორი დიდი ლაშქრობა მოაწყო კახეთის წინააღმდეგ. ვახუშტი ბატონიშვილის გადმოცემით, შაჰ-აბასი „ლეკებს“ შეუთანხმდა კახელების წინააღმდეგ: „რამეთუ მნებავს მოწყვეტა კახეთისა და რომელნი შემოვიდნენ თქვენ კერძთა მთათა შინა თქვენ მოსრენით და ტყვეყვენით იგინი და აღგავსნე მეცა ნიჭითა...“, „ლეკებს“ შაჰ-აბასი არ გაუწყენებიათ „...არამედ ლეკთაცა უყვეს ეგრეთ (მთებში შეხიზნულ კახელებს დ. მ.), ვითარცა აღუთქვეს შაჰ-აბას“[44].

შაჰ-აბასის ლაშქრობებმა კახეთი აოხრა. მოსახლეობის ნაწილი ძლერთან ბრძოლებში დაიღუპა, ნაწილმა კახეთს გაარიდა თავი—გაიხიზნა. რამდენიმე ათასი ქართველი ტყვე კი შაჰ-აბასმა ირანის დაცარიელებულ პროვინციებში გადაასახლა. ქვეყნის თავდაცვისუნარიანობა არარაობამდე დავიდა. გაძლიერდა „ლეკების“ შემოტევები. მთიელმა დაღესტნელებმა დაიწყეს ბარში ჩამოსახლება და შაჰ-აბასის ლაშქრობების შემდეგ დაცარიელებული ადგილების დაკავება ამ ხანებიდან დაღესტან-საქართველოს ურთიერთობის ისტორიაში ახალი ეტაპი შეიძლება ვივარაუდოთ. თუ თავდაპირველად „ლეკების“ ექსპანსია თავდასხმებში გამოიხატებოდა, შაჰ-აბასის ლაშქრობების შემდეგ კი „ლეკები“ ქართულ ტერიტორიას იკავებენ.

*
* *

დროთა განმავლობაში ქართულ მიწაზე ჩამოსახლებულმა დაღესტნელებმა შექმნეს ე. წ. „უბატონო თემები“. პირველ ხანებში „ლეკებმა“ ფეხი მოიკიდეს ჭარის, ბელაქნის და თალას მიდამოებში.

ი. პეტრუშევსკი იმ აზრისაა, რომ „ლეკთა“ ჩამოსახლება კახეთში არ მომხდარა ერთდროულად. მისი აზრით, „ავარული და წახურული თემები XVII ს. დიდი ხნით ადრე არსებობდნენ აქ, ყოველ შემთხვევაში XVI ს. მაინც[45].

XVII ს. ბევრად ადრე ლეკური თემების არსებობა კახეთში საეჭვოდ გვეჩვენება. თუმცა გარკვეული პირობებით „ლეკები“ მართლაც სხდებიან XVI საუკუნის ქართულ მიწა-წყალზე. კახთა მეფე ლევანი (1520—1574) ფიფინეთში (იგივე ჭარში) სვამს ლეკებს, რომელთაც ზაფხულობით ყინული უხდა ეზიდნათ კავკასიონიდან ქართველი მეფისათვის[46]. ყინულის ზიდვა ქართულ ფეოდალურ ურთიერთობაში საბატონო ვალდებულების ერთ-ერთი სახეობა იყო. ამდენად ფიფინეთში ჩამოსახლებული ლეკები კახეთის მეფის წინაშე ფეოდალურ დამოკიდებულებაში იმყოფებოდნენ.

---

[44] ვახუშტი, ისტორია, გვ. 179; ეგნატაშვილი ბერი, ახალი ქართლის ცხოვრება, თბ., 1940, გვ. 1421—143.

[45] Петрушевский И., Джаро-Белаканские вольные общества в первой трети XIX столетия, Тифл., 1934, стр. 10—11.

[46] ვახუშტი, აღწერა სამეფოსა საქართველოსა, გვ. 96; ამასვე იმეორებს ვახუშტი თავის „ისტორიაშიც“.

ჭარელ ლეკებს დიდხანს ჰქონდათ ვალდებულებად ყინულის ზიდვა. 1667 წ. არჩილ მეფე ქორწინდება. ცოტა ხნის შემდეგ არჩილმა ქორწილი გადაუხადა თავის ძმას ლუარსაბს ლილოზე. ქორწილზე ჭარელებმა ყინული მოიტანეს ცხენით. რადგან ჭარელებს ყინულის ზიდვა ზურგით ევალებოდათ, ჩანს, „პატრონმა“ ცხენით ყინულის მოტანაში ბატონყმური ვალდებულების შემსუბუქება დაინახა, ამიტომ: „შეიპყრნა და სტანჯნა იგინი, აღკიდა კვალად ტვირთად და მოაღებინა კვალად მუნიდამეცა ტვირთითვე ყინული“.

„ლეკების“ ვასალურ დამოკიდებულებაზე კახეთის მეფესთან უნდა მიეთითებდეს „არჩილიანის“ ის ადგილიც, სადაც მოთხრობილია, რომ ქალაქ ბაზარში ლეკები „მებატონენი კაცები“ (სოციალური ზედა ფენა, ღ. მ.) ფეშქაშით ეახლებოდნენ ხოლმე მეფეს:

„იქ მოვიდიან ლეკები, მებატონენი კაცები:
მოკრძალვით, გულს ხელმოჭდობით, მშიშრად ვით ცხვართ ვაცები:
ფეშქაშსა მოცაზიდვიდეს, ვერ რბევით რის მომტაცები...“[47].

ლევანის დროს ლეკთა ყმობა კახეთის მეფისადმი საეჭვოს ხდის მათი თემების ადრევე არსებობას კახეთში.

ვახუშტის გადმოცემით, „ლევან მოიყვანნა ლეკნი და დასხნა ფიფინეთს“[48]. თუ კი ლეკური თემები უკვე არსებობდა ამ ტერიტორიაზე, მაშინ მათი მოყვანისა და დასხმის ამბავი ასე გარკვევით აღარ იქნებოდა აღნიშნული.

ამრიგად, XVI საუკუნიდან თე. ერთი მხრივ, დაღესტნელები უტევენ ბარს, მეორე მხრივ, კახეთის მეფე ყმებად ღებულობს მათ. ბარში ფეხის მოკიდებისა და აქ ლეკური თემების ჩამოყალიბებისათვის მომენტი შაჰ-აბასის გამანადგურებელი ლაშქრობების შემდეგაა; ამ ხნიდან იწყება დაღესტნის ტოების გაძლიერებული ჩამოსახლება ბარში.

XVIII ს. შედგენილ „საქართველოს მეზობელ მხარეთა აღწერაში“, იქ, სადაც ლაპარაკია ჭარის, თალასა და ბელაქნის ხეობების შესახებ, ვკითხულობთ: „ეს ადგილები მოოხრებულია შაჰაბაზ პირველისა დროთა და ამ მოოხრებულს ადგილებზედ ზოგი თათარი თვითონ დაუსახლებია შაჰაბაზს და ზოგნი ლეკნი თვითონ გარდმოსახლებულან და ჰშენებულან“[49]. ჩამოსახლებული „ლეკებისაგან“ დროთა განმავლობაში მდ. ალაზნისა და კავკასიონის ქედს შორის ჩამოყალიბდა ე. წ. „უბატონო“ ლეკური თემები: „ჯინიხის ჭეობა, თალის ჭეობა, ბელაქნის ჭეობა, ესენი უბატონონი არიან“[50].

ჩამოსახლებული „ლეკები“ ძირითადად დაცარიელებულ მიწა-წყალზე სხდებიან, ხოლო გადარჩენილ ქართულ მოსახლეობას მოკავშირეებად იყენებენ, მათი მეშვეობით წელს იმაგრებენ.

---

[47] არჩილიანი, ტ. II, თბ., 1937, გვ. 39.

[48] ვახუშტი. ისტორია, გვ. 165. ხაზგასმა ჩვენია, ღ. მ.

[49] ს. მელიქსეთბეგი. საქართველოს მეზობელ მხარეთა აღწერა XVIII საუკ. მეორმოცდაათედან, ტფ., 1935 (ცდაზე 1936), გვ. 13.

[50] იქვე, გვ. 24; რუსულ ლიტერატურაში „უბატონო“ თემები „Вольные общества“-დ წოდებიან. აქ ჩამოსახლებული მოსახლეობის სოციალური წყობისა და სტრუქტურის გამო ბევრ რჩენ დაწვრილებით არ ვჩერდებით. აღვნიშნავთ მხოლოდ, რომ, ვ. ჯანაშვილის აზრით, ბარში რუსეთისეული წყობილება იყო (ვ. ჯანაშვილი, მოგზაურობა საინგილოში, გაზ. „დროება“ 1880, № 175); ხოლო პეტრე შეფსკი ჭარ-ბელაქნის ლეკურ თემებს არისტოკრატიულ რესპუბლიკებს უწოდებს (იხ. დასახ. ნაშრ., გვ. 2).

„საქართველოს მეზობელ მხარეთა აღწერა“ გვამცნობს, რომ „ლეკებს გაუმაჰმადიანებიათ დიდოეთი, ჭისტეთი, ღლივი, ძურძუკი. ეხლა კი სურთ რომ თუშები, ფშავ-ხევსურეთი და ხევიც გაამაჰმადიანონ და შემდეგ მთელ მთიანეთი ყირიმამდეო[51]. ამ შემთხვევაში ოსმალეთის ხელი ჩანდა...

მათ იგივე მიზნები ჰქონდათ ქართული მოსახლეობის მიმართ. აკად. ნ. ბერძენიშვილის სიტყვებით: „ადგილობრივ ქართველ მოსახლეობას ეს პირველ-ყოფილი მოახალშენეები ან „ძმებად შეიყრიდნენ“, ე. ი. გაამაჰმადიანებდნენ და თავიანთი თემის (ჯამაათის) წევრად მიიღებდნენ, ან „ურწმუნოებს“ მონებად დაჰყიდდნენ.

ასეთ პირობებში ყოველი მხრით დევნილი, სასომიხდილი ქართველი გლეხობა თანდათან გატყდა, მან „გალეკება“ დაიწყო“[52]. უფრო გვიან „ახლო მდებარე კახური სოფლები მათ კი აღარ იძმეს, არამედ დაიმორჩილეს და დაბეგრეს“, ამრიგად, „უბატონო თემები“ თანდათან მებატონე თემებად იქცნენ“[53].

ნ. ბერძენიშვილის განმარტებით: „ამ დამორჩილებულ-დაბეგრილ ქართველ გლეხებს ეწოდა ი ნ გ ი ლ ო, განსხვავებით ტერმინ ლეკისაგან... ასე რომ „ლეკი“ ან „ინგილო“ უფრო სოციალური შინაარსის ცნებებია, ვიდრე ეთნიკური“[54].

ამრიგად, თუ დაღესტან-საქართველოს სამტრო ურთიერთობის ერთი სახეობა მძარცველური ექსპედიციები იყო, ამ შემთხვევაში სამტრო ურთიერთობის სხვა სახეობა გვაქვს, როდესაც დამპყრობელი დამორჩილებულს ადებს გადასახადს მუდმივი საშემოსავლო ბაზის შექმნის მიზნით[55].

ქართულ მიწა-წყალზე ჩამოსახლებული „ლეკების“ მიერ შექმნილი პუნქტები საიმედო დასაყრდენი გახდა დაღესტნის სოციალური ზედაფენისათვის საქართველოზე თავდასხმებისათვის.

შაჰ-აბასის ლაშქრობების შემდეგ კახეთში სპარსეთის მოხელე—ხანი დაჯდა. სპარსეთისათვის კახეთის გაძლიერება ხელსაყრელი არ იყო, ამიტომ ქვეყნის მმართველებად გამოგზავნილი ხანები „ლეკებს“ იკავშირებენ და მათი საშუალებით კახეთის ძალის გატეხვას ცდილობენ.

1635 წ. მეფე თეიმურაზმა ელჩი მიავლინა მოსკოვის კარზე. ახლაც, როგორც 40 წლის წინათ, კახეთის მეფის სათხოვარი რუსეთის მეფის კარზე „ლეკებისაგან“ დაცვა იყო. ამ ელჩობას შედეგი არ მოჰყოლია. 1639 წ. თეიმურაზმა კვლავ მიმართა რუსეთს, იგი ამჯერადაც ლეკებზე ჯარის გამოგზავნას თხოულობდა და აღნიშნავდა, რომ ლეკებმა გაანადგურეს კახეთი, გაძარცვეს ეკ-

---

51 საქართველოს მეზობელ. მხ. აღწერა, გვ. 27—28.

52 ნ. ბ ე რ ძ ე ნ ი შ ვ ი ლ ი, აღმოსავლეთ კახეთის წარსულიდან. მიმომხილველი, III, თბ., 1953, გვ. 81.

53 ნ. ბ ე რ ძ ე ნ ი შ ვ ი ლ ი, XVIII საუკ. საქართველოს ისტორიიდან, მასალები საქართველოსა და კავკ. ისტორიისათვის, 1944, ნაკვ. I, გვ. 189.

54 ნ. ბ ე რ ძ ე ნ ი შ ვ ი ლ ი, აღმ. კახეთის წარსულიდან, გვ. 84.

55 აქ გვინდა შევნიშნოთ, რომ სოციალურად განვითარებული ფეოდალური კახეთის მოსახლეობა, საგარეო (შაჰ-აბასი) და საშინაო (მწვავე კლასობრივი ბრძოლა) ფაქტორების შედეგად იმდენად დაკნინებული აღმოჩნდა, რომ მისი დაპყრობა-დახარკვა არ გასჭირებია მოახალშენე ლეკურ თემებს.

ლესია-მონასტრები. თეიმურაზს ლეკები უფრო დიდ მტრებად მიაჩნდა, ვიდრე შაჰი[56]

რუსეთისაგან რეალური დახმარება არც ამჯერად ჩანდა, რუსეთი ფრთხილობდა... სპარსეთი გარკვეული მიზანდასახულობით მოქმედებდა...

1677 წ. ყარაღაჯში ბეჟან-ხანი დაჯდა (ყარაღაჯი სპარსელი ხანების საჯდომი ადგილი იყო). ვახუშტი გადმოგვცემს, რომ მან ნება დართო და დაეხმარა კიდეც—„ძალი“ მისცა ლეკებს კახეთზე თავდასხმებისათვის. ასევე მოუწოდა მან ჭარელებს და ჩამოსახლებულ თურქმანულ ტომებს: „ხანმა მისცა ნება და ძალი ლეკთა და დაუწყეს კახეთს კირთება და ტყვევნა, არა-თუ ლაშქრით, არამედ ავაზაკობით...“[57]. ასეთი მოქმედება ტიპიური იყო სპარსეთის პოლიტიკისათვის... კახელები წინააღმდეგობას უწევენ სპარსეთის ხელისუფალთ და, მიუხედავად სპარსელი მოხელეების ხელშეშლისა, „ლეკებზე“ (ჭარზე) ლაშქრობის გეგმას სახავენ.

კახელების ლაშქრობები ჭარზე 1695, 1706, 1712—13, 1715 წწ. მარცხით მთავრდება. ყოველი დამარცხების შემდეგ „ლეკები“ ახალი ენერგიით უტევენ კახეთს. კახეთის მეფე დავით II (იმამყული-ხანი) იძულებული გამხდარა, „უბატონო თემებთან“ ზავი შეეკრა. ვახუშტის ცნობით, საკმაოდ დიდი თანხაც გადაუხდია მათთვის: ერთდროულად 50 თუმანი. „ჭარის ომების ქრონიკის“ ცნობით კი ყოველწლიურად ასი თუმანი უნდა გაეღო მათვე სასარგებლოდ[58]. რამდენად რეალურია ანონიმი ქრონიკის ეს ცნობა, არ ვიცით. ქართულ წყაროს შემოუნახავს ცნობა, ლეკების მცირე ხნით „დაწყნარებისა“, რაც 1715—16 წ. უნდა მომხდარიყო. ეს „დაწყნარება“, ჩვენი ფიქრით, ემთხვევა ანონიმი ქრონიკის ჩვენებებს, მაგრამ არც ეს „დაწყნარება“ ყოფილა ხანგრძლივი. ორი წლის შემდეგ „ლეკებს“ კვლავ დაუწყიათ თავდასხმები. ხშირმა თავდასხმებმა კახეთის მეურნეობა მოშალა, მოსახლეობა შეამცირა. ვახუშტის სიტყვებით, კახელებს „ხრიკი“ უხმარიათ: ლეკეზისათვის შეგზურები მიუციათ და სარბევად ქართლისაკენ გადაუშვიათ, თვითონ კი მათთან ზავი შეუკრავთ[59].

* * *

ქართლს ლეკები პირველად 1717 წელს ეწვივნენ. ამ ამბის შესახებ ცნობა დაცულია „ქართლის ცხოვრების“ ერთ-ერთ მინაწერში[60]. ლეკები ბოლნისსა და ქციის ხეობას შესევიან. ქართველები ლეკებს შებმიან და კიდეც დაუმარცხებიათ ისინი. მიუხედავად ამისა, ლეკთა ეს შემოტევა ქართლისათვის ავის მაუწყებელი იყო—ლეკიანობის ახალი ეტაპი იწყებოდა.

თუ შაჰ-აბასის ლაშქრობებამდე მხოლოდ მთიდან წამოსული ლეკები ესხმოდნენ თავს კახეთის სოფლებს და აოხრებდნენ, შემდეგ უკვე ქართულ მიწა-წყალზე ფეხმოკიდებული ლეკები უტევენ კახეთს. XVIII ს. პირველ ოცეულში კი მათ ქართლსაც შემოუტიეს. ამავე დროს, მიუხედავად დაზავებისა, ლეკები

[56] Полиевктов М., Материалы по истории грузино-русских взаимоотношений, Тб., 1937, გვ. 117, 118..

[57] ვახუშტი, ისტორია, გვ. 95.

[58] Хроника войн Джвара в XVIII столетии, стр. 9—10.

[59] ვახუშტი, ისტორია, გვ. 205—206.

[60] იხ. ც. ქაქელიძის სახ. ხელნაწერთა ინსტიტუტი Q 383, ფურც. 274. მინაწერზე ავტორის ვინაობაზე მიგვითითა პროფ. კ. გრიგოლიამ, რისთვისაც მადლობას მოვახსენებთ. ეს მინაწერი ჩართულია ვახუშტის „ისტორიაში“ რამდენადმე შეცვლილად.

არც კახეთზე თავდასხმებს ანებებდნენ თავს. კახეთის მეფე დავით II (იმამყული-ხანი) მარტო ვეღარ ახერხებდა მათ გამკლავებას. დახმარებისათვის ქართლის მეფეს ვახტანგ VI მიმართა. ვახტანგ VI კარგად ხედავდა, რომ თუ ლეკები დღეს კახეთის მიწას აოხრებდნენ, ხვალ ქართლსაც შემოადგებოდნენ. ამიტომ კახეთის მეფესთან ლეკების წინააღმდეგ კავშირი ქართლის მეფისათვისაც მისაღები ჩანდა. აქედან გამომდინარე 1720 წ. ქართლსა და კახეთს შორის კავშირი შეიკრა ლეკების წინააღმდეგ.

XVIII ს. პირველ ოცეულში, სარგებლობდნენ რა სპარსეთის შესუსტებით, ლეკები სპარსეთის სხვა სამფლობელოებსაც უტევდნენ ა/კავკასიაში. თუ პირველ ხანებში ირანის მოხელეები ლეკებს ქართველების წინააღმდეგ იკავშირებდნენ, მას შემდეგ, რაც ლეკებმა ა/კავკასიაში სპარსეთის სხვა სამფლობელოებსაც შეუტიეს, სპარსეთმა ლეკების დამორჩილება განიზრახა. შაჰმა დახმარებლად ქართველ მეფეებს მიმართა. კახეთის მეფე დავით II და ქართლის მეფე ვახტანგ VI სპარსეთის შაჰის მოხელეები იყვნენ, ამდენად ისინი მოვალენი იყვნენ შაჰის სამფლობელოები გარეშე მტრისაგან დაეცვათ. ქართველი მეფეები ფიქრობდნენ, რომ ამ ლაშქრობით ბრძოლა ლეკების წინააღმდეგ უფრო ეფექტური იქნებოდა. ამდენად ეს წინადადება ქართველი მეფეებისათვის მისაღები ჩანდა. ქართველები ლეკებზე სალაშქროდ მომზადებულან და ყიზილბაშთა ლაშქარს უნდა შეერთებოდნენ, მაგრამ ამ დროს ირანის შაჰს ვახტანგისათვის ლაშქრობა დაუშლია. XVIII ს. ქართველი ისტორიკოსის სეხნია ჩხეიძის გადმოცემით, თითქოს სპარსეთში ფიქრი მისცემოდათ: „თუ მეფემ ვახტანგ ჭარი დაიჭირა, ქვეყანასაც ის დაიჭერსო“[61].

საქმე ისაა, რომ XVIII ს. 20-იან წლებში ა/კავკასიის სარბიელზე პეტრე I რუსეთი გამოდის. სპარსეთში ყოფნის დროს ვახტანგ VI (იგი შაჰის კარზე იყო რამდენიმე წელს) საშუალება ჰქონდა სპარსეთის მდგომარეობა შეეფასებინა. ის ხედავდა, რომ სპარსეთის ბატონობისაგან განთავისუფლების დრო დადგა, ამიტომ ჯერ საიდუმლოდ, ხოლო შემდეგ აშკარად პეტრე I რუსეთს უკავშირდება. შესაძლებელია, ლეკებზე სალაშქროდ მზადების პროცესში შაჰმა ცნობა მიიღო, რომ ვახტანგმა გეზი რუსეთისაკენ აიღო, რის გამოც შაჰმა ლეკებზე ლაშქრობა ორგულ ყმას ვერ ანდო. შესაძლებელია, შაჰი ფიქრობდა, რომ ვახტანგი კახეთსაც დაიჭერდა, ქვეყანას გააერთიანებდა და სპარსეთს ქრისტიანულ რუსეთს დაუპირისპირებდა[62].

ვახტანგის ლაშქრობის მოშლის შემდეგ ყიზილბაშები დამარცხდნენ. ჭარელმა ლეკებმა ახლა მეტი ძალით შემოუტიეს კახეთს. ამჯერად მათ გადაღმელი თანამოძმეებიც მოიშველიეს.

რუსეთთან კავშირმა ვახტანგ VI მტრები გაუმრავლა. 1722 წ. შაჰმა კახეთის ტახტზე მაჰმადიანი კონსტანტინე დაამტკიცა და, ერთი მხრივ, რუსეთის ორიენტაციის მქონე ვახტანგს, ხოლო, მეორე მხრივ, ოსმალეთს დაუპირისპირა. კონსტანტინემ ქართლის წინააღმდეგ ლეკები შეიკავშირა და მათი დახმარებით თბილისიც აიღო. ამის შემდეგ ლეკიანობა მთელი ქართლისათვის სახიფათო შეიქნა. მეორე მხრივ, ქართლს ოსმალები უტევდნენ. რუსეთის დახმარე-

---

61 ჩხეიძე სეხნია, საქართველოს ცხოვრება (ზ. ჭიჭინაძის გამ.), თბილისი, 1913.

62 ეს ცნობა მოცემულია მ. დუმბაძის მიერ გამოქვეყნებულ მასალებშიც „საარქივო საბუთები ჭარ-ბელაქნის შესახებ“. საისტორიო მოამბე № 4, გვ. 510—511. ეს აზრი ქართველ მოღვაწეთა შორის ამ დროს მართლაც უკვე მომწიფებული იყო.

ბა იგვიანებდა, ვახტანგ VI იძულებული გახდა, ოსმალეთის „პატრონობა" ეცნო.

1723 წ. ქართლში „ოსმალობა" დამყარდა, რის შემდეგაც ოსმალები ქართლს თავის საბატონო ქვეყნად თვლიდნენ და ქართლში შემოკრებილ ლეკებს „მტრად" უცქერდნენ. ხშირად მათი შეჯახებები სისხლის მღვრელი ბრძოლებითაც მთავრდებოდა. ოსმალები ლეკებს უპირისპირდებოდნენ კახეთშიაც. სამაგიეროდ სპარსეთის ერთგული კონსტანტინე კახთა მეფე ლეკებს იკავშირებდა და მათ ოსმალებს უპირისპირებდა. მიუხედავად იმისა, რომ აქ გაბატონებული ოსმალები ლეკებს უტევდნენ, ვფიქრობთ, ეს შეჯახებები ეპიზოდურ ხასიათს ატარებდა. ოსმალეთის მთავრობა ლეკებს შეურიგებელ მტრებად სრულიადაც არ თვლიდა და ა/კავკასიაში ფეხის მოკიდებისათვის ლეკებში ერთმორწმუნე მოკავშირეებს ხედავდა. რომ ეს ნამდვილად ასე იყო, ოსმალეთის მთავრობამ გამოავლინა ლეკებისათვის მიცემულ ფირმანში. ამ ფირმანით ოსმალეთის სულთანი ჭარისა და თალას ლეკებს იმ დამსახურებისათვის, რომელიც მათ ოსმალეთის მთავრობის წინაშე გამოიჩინეს, სამუდამო მფლობელობაში უმტკიცებდა მათ მიერ დაკავებულ მიწებს[63].

XVIII ს. 30-იანი წლებიდან სპარსეთი ა/კავკასიაში მომარჯვებულ ოსმალეთს უტევს. ამის მხილველმა ოსმალებმა სპარსეთის წინააღმდეგ ისევ შეიკავშირეს ლეკები.

ქართული საზოგადოების ერთი ნაწილი სპარსელების დახმარებით „ოსმალობის" მოსპობას ფიქრობდა. ამიტომ სპარსელების აქ დამკვიდრებას ხელს უწყობდა. 1735 წლიდან ქართლ-კახეთში „ყიზილბაშობა" დამყარდა. როდესაც ქართველებმა ნახეს, რომ ყიზილბაშები ოსმალებზე ნაკლები დამპყრობლები არ იყვნენ, ქართული საზოგადოების ნაწილი მათ გადაუდგა და ყიზილბაშებს ლეკები დაუპირისპირა (გივი ამილახორი, შანშე ქსნის ერისთავი, ორბელიანები).

ოსმალები ქართლის დაკარგვას ადვილად ვერ ურიგდებოდნენ, ამიტომ ქართლზე ლაშქრობას აწყობენ. ამ ლაშქრობაში ოსმალები ფულითა და საჩუქრებით დაღესტნის ტომებს იკავშირებენ. როდესაც სპარსელებმა ნახეს, რომ ლეკები აქტიურად ეხმარებიან ოსმალებს, დაღესტნის წინააღმდეგ ლაშქრობებს აწყობენ. ქართველები სიამოვნებით უერთდებიან ყიზილბაშების ამ ლაშქრობებს და ამჯერად სპარსელების დახმარებით ჭარის დამორჩილებას ფიქრობენ. ჭარი საქართველოს მიწა-წყალზე თავდამსხმელ ლეკთა ბუდე იყო, ამიტომ მისი შემოერთების გეგმა საქართველოში დიდი ხნის განმავლობაში არსებობდა. ქართველებმა იცოდნენ, რომ ჭარის აღებით ბრძოლა ლეკიანობის წინააღმდეგ უფრო ეფექტური იქნებოდა. ამიტომ ახლა, როდესაც ამის საშუალება ეძლეოდათ და დამხმარე ძალაც ძლიერი ჩანდა, ჭარზე ლაშქრობის დიდად მოხარულნი იყვნენ მაგრამ ყიზილბაშებმა ჭარის დამორჩილება ვერ შესძლეს და საქართველოს წინაშე ჭარის საკითხი გადაუწყვეტი რჩებოდა. ლეკების პატარა-პატარა რაზმები კვლავ იჭრებოდნენ ქვეყანაში და დიდი ზარალი მოჰქონდათ. „ოსმალობისა" და „ყიზილბაშობის" დროს ლეკიანობა აღმოსავლეთ საქართველოში მეტისმეტად ძლიერი იყო, ოსმალეთსა და სპარსეთს შორის ურთიერთ ბრძოლა ა/კავკასიაში, ქართველთა ბრძოლა ოსმალობა-ყიზილბაშობის წინა-

[63] Посербский А., Очерк Закатальского округа, Кавказский календарь на 1866 г., Тифлис, стр. 23.

აღმდეგ. განსაკუთრებით უწყობდა ხელს ლეკიანობის გაძლიერებას. ურთიერთის წინააღმდეგ მებრძოლი ძალები იკავშირებდნენ თავდამსხმელ ლეკებს და მოწინააღმდეგის ქვეყნის საძარცვად მოუწოდებდნენ.

* * *

ლეკების სისტემატურ თავდასხმებს საქართველოში შედეგად ის მოჰყვა, რომ XVIII ს. 50-იანი წლებისათვის მათ საქართველოშივე ზედაზენში, სამშვილდეში, წალკა-თრიალეთზე და სხვაგან გაიჩინეს ბინა. საქართველოში დაბუდებული ლეკები უტევდნენ საქართველოს მოსახლეობას და დიდ ზიანსაც აყენებდნენ მას.

გამეფებისთანავე ერეკლე II ენერგიულად შეუდგა ლეკიანობის წინააღმდეგ ღონისძიებათა ჩატარებას. იგი ხედავდა, რომ თუ „ლეკთა“ თარეშები არ შეწყდებოდა, მისი სამმართველო ქვეყნიდან აღარაფერი დარჩებოდა. მან მალე სამშვილდის ციხე აიღო. ამით ლეკებს ქვემო ქართლში თავშესაფარი მოუშალა, მაგრამ ლეკთა წვრილ-წვრილი თარეშები საქართველოში არ შეწყვეტილა. ამის მიზეზი ის იყო, რომ საშინაო და საგარეო მტრებთან ბრძოლაში მოღლილი ქვეყანა თავს ვეღარ იცავდა...

XVIII ს. 50-იან წლებში ქართველებმა კიდევ ერთხელ სცადეს ჭარის დამორჩილება, მაგრამ დამარცხდნენ. ამან ცხადყო, რომ „დიდი ჯარი“, „ქაის ხელმწიფური რიგით და თადარიგით“ გამზადებული მთიელთა წინააღმდეგ ბრძოლისათვის სუსტი იყო...

ლეკებთან საუკუნოვან ბრძოლებში მოსახლეობამ ბრძოლისა და თავდაცვის ხერხები შეიმუშავა. შეიცვალა „ლეკების“ თავდასხმების ხასიათიც. თუ ადრე ისინი ქურდულად, მცირე რაზმებად დანაწილებულები ესხმოდნენ თავს მოსახლეობას, ახლა უკვე გამაგრებულ ადგილებზე მიაქვთ იერიში და თავდასხმებიც უფრო ორგანიზებული აქვთ. ამავე დროს ისინი შემთხვევას არ უშვებენ თავდაუცველ, თავისუფალ მოსახლეობაზე თავდასხმისათვის[64]. თუ ამდენხანს „ლეკების“ თავდასხმების ძირითადი მიზანი მტაცებლური ექსპედიციები იყო ნადავლის (ძირითადად ტყვეების სახით) მოპოვების მიზნით, XVIII ს. მეორე ნახევრიდან ლაშქრობების ხასიათი იცვლება. ამ დროიდან დაღესტნის მოსახლეობის სოციალური ზედა ფენა ლაშქრობებს იწყებს ტერიტორიების დაპერის მიზნით. 1754 წლებისათვის მათ ქართლ-კახეთის მთლიანად დაპერა განუზრახავთ. ხუნძახის ბატონს ნურსალ-ბეგს გაუერთიანებია დაღესტნის ტომები. „რაც დაღისტანში ბელადები და უფროსი ჯარები კაცები იყვნენ, თან გამოყოლოდენ და ამისათვის დიდი ჯარი შეყრილიყო. ეს ხუნძახის ბატონი ქაის დიდებით წამოსულიყო, რაც ლეკობას გაეწყობოდა“—გადმოგვცემს პაპუნა[65]. მისივე თქმით, ლეკები ქართლ-კახეთზე იმიტომ მოდიოდნენ, რომ ქვეყანა დაემორჩილებინათ: „თუ ეს ჭუნძახის ბატონი ქართველსა და კახ ბატონზე გაიმარჯვებდა, ეს კაცნი სულ ქართლსა და კახეთზე მოვიდოდნენ და ვითაც მტერნი იყვნენ, ეგრევ აოხრებდნენ, დაატყვევებდნენ... თავისთვის უნდოდათ“.

პაპუნა ორბელიანისათვის, როგორც ქართული ფეოდალური საზოგადოების წევრისათვის, წარმოუდგენელი იყო მთის ბატონობა განვითარებულ ბარზე. ამიტომაც იყო, რომ იქვე დასძენდა: „აოხრებულს ქვეყანას რას უზმე-

[64] ი. ცინცაძე, კაპიტან ოთ. თუმანოვის მოხსენებითი ბარათები, თბ., უნ-ტის შრომები, XVIII—B, გვ. 18—19.

[65] პაპუნა ორბელიანი (ხ. ჭიჭინაძის გამ.), გვ. 213.

დენ...—ის კი არ ვიცითო"[66]. ე. ი. იგი ეჭვს გამოთქვამდა, რომ მთა პოლიტიკურად დაიმორჩილებდა ბარს. მაგრამ საქმე არც მთლად ასე იყო. ამ დროისათვის დაღესტნელებს ხელთ ჰქონდათ გაღმა მხარის და საბოლოოდ იქ დამკვიდრებასაც ახერხებდნენ. ასეთივე მიზანი ჰქონდათ ამჯერად „ლეკებს" უკვე ქართლ-კახეთის მიმართ—მათი პოლიტიკური ექსპედიცია ტერიტორიის დაკავებას ისახავდა მიზნად.

1754 წ. ქართველებმა მჭადიჯვრის ომში დაამარცხეს ლეკები. ამ ომს უშუალოდ ხელმძღვანელობდა ერეკლე II. მარცხმა ხუნძახის ბატონს საქართველოზე ხელი ვერ აღებინა. მან ხელახლა შემოიკრიბა ძალები. გარდა „ლეკებისა", მან ამჯერად „ყველანი ქართლისა და კახეთის მტერნი" შეაკავშირა: აჯი-ჩალაბის შვილი, კაკის სულთანი, განჯის ხანი. კოალიციური ლაშქარი ყვარლის ციხეს მოადგა. აქაც, ერეკლე II ბრწყინვალე ნიჭის წყალობით, ქართველებმა მტერი დაამარცხეს. მიუხედავათ ამისა, წვრილ-წვრილი თავდასხმები არ წყდებოდა.

XVIII ს. 60-იანი წლებისათვის ქართლ-კახეთში წონასწორობა დამყარდა. არც ოსმალეთი და არც ქერიმ-ხან ზანდის სპარსეთი საქართველოსათვის უკვე საშიშნი არ ჩანდნენ, ლეკების საკითხი კი ჯერ კიდევ მოუგვარებელი იყო.

1768 წ. რუსეთ-ოსმალეთის ომი დაიწყო. ოსმალებმა დასახმარებლად ლეკებს მიმართეს. ქართველი მეფეები—ერეკლე II და იმერეთის მეფე სოლომონი ამ ომში რუსეთს მიემხრნენ. ამის გამო 1768 წ. შემდეგ „ლეკების" შემოტევები ახალციხის მხრიდან გახშირდა. ამავე დროს „ლეკები" ძველი გზიდან—ჩრდილო-აღმოსავლეთიდანაც უტევდნენ საქართველოს და მთებიდან ჩამოსულები საქართველოს გავლით ოსმალეთის სამფლობელოებში გადადიოდნენ. ოსმალეთის კარი ხუნძახის ბატონის მიმხრობასაც ცდილობდა და საჩუქრებს უგზავნდა მას იმ პირობით, რომ იგი ახალციხეს ჩასულიყო.

XVIII ს. 70-იანი წლებისათვის სპარსეთ-ოსმალეთი ურთიერთშორის ომისათვის ემზადებოდა. ერეკლე ოსმალეთისაკენ გადახრილა და 1774 წ. ახალციხის ფაშას დაზავებია კიდეც. ამის შემდეგ „ლეკთა" შემოსევები ახალციხის მხრიდან შენელდა, მაგრამ დაირღვა თუ არა ზავი, ახალციხის მხრიდან ლეკების შემოტევები კვლავ გახშირდა.

ამავე საუკუნის 80-იან წლებში ერეკლეს წინაშე საგარეო ორიენტაციის საკითხი მწვავედ იდგა. სამი დიდი მეტოქის (რუსეთი, სპარსეთი, ოსმალეთი) შორის მას ერთ-ერთი უნდა ამოერჩია. ერეკლეს არჩევანი რუსეთზე შეჩერდა. 1783 წ. გიორგიევსკში რუსეთისა და საქართველოს წარმომადგენლებმა ხელი მოაწერეს ტრაქტატს, რამაც შეაშფოთა როგორც ოსმალეთი, ისევე სპარსეთი. ტრაქტატის საპასუხოდ ოსმალებმა ლეკები შეაკავშირეს. 1785 წ. ოსმალეთის მიერ წაქეზებული და აღჭურვილი „ლეკების" დიდი ლაშქარი ომარ-ხანის მეთაურობით საქართველოს მოადგა. რუსეთი ამჯერად იარაღით წამოეშველა საქართველოს და ჩრდილოეთის მხრიდან ჭარს მოადგა. ამავე დროს საქართველოში მყოფი რუსთა მხედრობა ქართველებთან ერთად გამოვიდა ქვეყნის დასაცავად, მაგრამ ომარ-ხანის წინააღმდეგ მებრძოლი რუს-ქართველთა ლაშქარი დამარცხდა.

1783 წ. ტრაქტატის მიზეზით იყო გამოწვეული აღა-მაჰმად-ხანის 1795

[66] იქვე, გვ. 211.

წლის ლაშქრობაც. თავის მხრივ ლეკები სპარსეთმაც შეიკავშირა საქართველოს წინააღმდეგ, აღა-მაჰმად-ხანის ლაშქარში მრავლად იყვნენ ლეკები.

1801 წ. საქართველო რუსეთს შეუერთდა. საქართველოში რუსეთის მმართველობის დამყარების შემდეგ, თანდათან საფუძველი ეცლება ლეკიანობის ხელისშემწყობ პირობებს. რუს-ქართველთა ლაშქარმა ლეკების დასაყრდენი ჭარ-ბელქანი აიღო, თანდათან ისპობა ძველი ქართული თავადური წყობილება, ქვეყანა ორგანიზაციულად მტკიცდება. ქვეყნის სიმტკიცეს ხელს უწყობს საგარეო ფაქტორები. მთიანეთის რუსეთთან შეერთების შემდეგ ახალი ეკონომიური პირობების გამო სახეს იცვლის მთის მოსახლეობის მეურნეობაც. ამისდაკვალად თანდათან ქრება ლეკიანობა, თუმცა მას ეპიზოდური ხასიათი დიდი ხნის განმავლობაში შერჩა.

* * *

„ლეკიანობის“ ხელისშემწყობი პირობები, უპირველეს ყოვლისა, ქვეყნის საშინაო და საგარეო ურთიერთობისა და ფეოდალური ქვეყნის შინაგან წინააღმდეგობებში უნდა ვეძებოთ.

XVI ს. მოყოლებული, კახეთი თავს იცავდა მთიელთა თავდასხმებისაგან. დაახლოებით ორი საუკუნის მანძილზე კახელი გლეხობა წინააღმდეგობას უწევდა მთიელ თავდამსხმელებს. ამავე დროს კახეთი შაჰის სახანოს წარმოადგენდა. გარეშე მტრებთან ბრძოლებში მოსახლეობის ნაწილი გაწყდა, ნაწილი კი ტყვედ იქნა წაყვანილი. როგორც წესი, ბრძოლებში ცუდად შეიარაღებული, ნაკლებად თავდაცული მწარმოებელი საზოგადოება მცირდება. ირღვეოდა პროპორცია მწარმოებელსა და მფლობელს შორის, ეს კი ფეოდალური ურთიერთობის გამწვავებას იწვევდა. შეთხელებულ მწარმოებელ საზოგადოებას მძიმე ტვირთად აწვა ადგილობრივი ფეოდალური, თუ უცხოელ დამპყრობთა მიერ დაკისრებული ვალდებულებანი და გადასახადები. კახელი გლეხი ამ მდგომარეობას ხშირად „გალეკებით“ იცილებდა თავიდან. როგორც აკად. ნ. ბერძენიშვილი განმარტავს: „კახელი გლეხები „ლეკობაში“ „უბატონობას“ ხედავდნენ და ეს კი საბოლოოდ ყოველივე დაბრკოლებას სძლევდა: კახელი გლეხი „გალეკებაში“ უბატონობას ეძებდა“[67].

კახეთის მეფე დავით II (იმამყული-ხანი) გლეხების ლეკთა მხარეზე გადასვლას „მტრისაგან“ შევიწროების შედეგად თვლიდა. „მტერში“ დავით II უცხოელებს გულისხმობდა. ყველაზე დიდი მტერი, რომელიც გლეხობას ავიწროებდა, ადგილობრივი ფეოდალური სისტემა იყო. ამიტომ იყო, რომ „უბატონობის“ მაძიებელი გლეხი ადვილად უპერდა მხარს „უბატონო“ ლეკებს და მათ საკუთარ მებატონეთა წინააღმდეგ ეოუძღვებოდა. ვახუშტის გადმოცემით, 1712 წ. შემდეგ კახეთში „იწყეს გლეხთა მძლავრებისათვის ლეკთა ლტოლვად და მისვლად ლეკთა თანა, რაჲეთუ იკლიან რაიმე მეპატრონეთა თვისთაგან“[68]. ამდენად, გლეხების ლეკთა მხარეზე გადასვლა კლასობრივი ბრძოლის შედეგია.

ი. პეტრუშევსკის გადაჭარბებითაც კი გაუგია გლეხთა კავშირი ლეკებ-

---

[67] ნ. ბერძენიშვილი, XVIII საუკ. საქართველოს ისტორიიდან. მასალები საქართველოს და კავკასიის ისტორიისათვის, 1944, ნაკვ. I, 188.

[68] ვახუშტი, ისტორია, გვ. 133.

ოს და დასძენს, რომ: „Крестьяне надеялись на падение крепостничества вообще“[69].

გლეხების გადასვლა ლეკების მხარეზე გრძელდებოდა მანამ, სანამ ლეკები გლეხებს ღებულობდნენ „ძმებად“. ი. პეტრუშევსკის აზრით, მას შემდეგ, რაც „უბატონო თემები“ მოიაგრდნენ კახეთში, მათი მდგომარეობა გლეხთა მიმართ იცვლებოდა და ლეკები გლეხებისაგან თხოულობდნენ იმ გადასახადებს, რასაც გლეხები წინათ ძველ მებატონეებს უხდიდნენ[70]. როდესაც ლეკების მხარეზე გადასულმა გლეხებმა დაინახეს, რომ ლეკები ისეთივე მებატონენი არიან, რომელთა წინააღმდეგაც ისინი იბრძოდნენ, ლეკებისაგან პირი იბრუნეს, მაგრამ მათივე ხელისშეწყობით კახეთში ფეხმოკიდებული უცხოელები ველარ განდევნეს.

ამდენად, ლეკიანობის ერთ-ერთი ხელისშემწყობი პირობათაგანი ქვეყნის შიგნით არსებული მძიმე ფეოდალური ექსპლოატაცია და კლასობრივი ბრძოლა იყო.

ლეკიანობის ხელისშემწყობი პირობათაგანი იყო ქვეყნის ფეოდალური დაქსაქსულობაც. დაშლილ, ფეოდალურ საქართველოში ლეკიანობის ერთ-ერთ აქტიურ ხელისშემწყობ ძალად თავადები გამოდიოდნენ. მეფის პოლიტიკითა და მეზობელი ფეოდალით უკმაყოფილო ფეოდალებს, ხშირად თავიანთ მოქიშპეთა წინააღმდეგ ლეკები მოჰყავდათ. ლეკები ქვეყანაში მოჰყავდათ ისეთ მსხვილ ფეოდალებს, როგორებიც იყვნენ ქსნის ერისთავები, ამილახორები, ორბელიანები და სხვა. ხშირი იყო შემთხვევები, როდესაც მოქიშპე თავადები ლეკებს უსევდნენ ერთმანეთს, მაგ., ამილახორს მაჩაბლისათვის შეუსევია ლეკები[71]. იყო ისეთი შემთხვევებიც, როდესაც ერთი გვარის ორი მოწინააღმდეგე ერთმანეთის დასარბევად ლეკებს მიმართავდა, მაგ., ავალიშვილები[72].

აქტიურ მებრძოლებად იყენებდნენ ლეკებს XVIII ს. 50-იან წლებში ბაგრატიონთა საგვარეულოს სხვადასხვა შტოს წარმომადგენლები ტახტისათვის ბრძოლაში. იყო შემთხვევები, როდესაც ლეკებს იკავშირებდნენ ქართველი მეფეებიც (მაგალითად კოსტანტინე კახთა მეფე).

ხშირად ქართველები ლეკებს უცხოელ დამპყრობელთა წინააღმდეგაც იყენებდნენ, ზოგჯერ კი ურჩი ფეოდალები მათ საკუთარ მეფესაც უპირისპირებდნენ (მაგ. გივი ამილახორი).

ზემოთ ჩამოთვლილი მიზეზების გამო ლეკები თავისუფლად დათარეშობდნენ ერთი სამფლობელოდან მეორეში, ერთი ფეოდალიდან მეორესთან. ფეოდალური შეგნება შორს იდგა ერთიანი, მტკიცე სახელმწიფოს ინტერესებისაგან. პირადი ინტერესების შეჯახება კი ქვეყანას ასუსტებდა.

ერთ-ერთი მიზეზი ფეოდალური საქართველოს სისუსტისა ლეკიანობის წინააღმდეგ ბრძოლაში, ფეოდალური ლაშქრის თავისებურებანი იყო. ფეოდალურ ქვეყანაში ლაშქარიც ფეოდალურ წესზე იყო აგებული. თითოეულ ფეოდალს საკუთარი ლაშქარი ჰყავდა, რომელიც საჭიროების შემთხვევაში თვით მეფის წინააღმდეგაც შეეძლო გამოეყენებინა. დაშლილ, ფეოდალურ ქვეყანა-

[69] Петрушевский И., დასახ. ნაშრ., გვ. 14.
[70] იქვე, გვ. 15.
[71] ვახუშტი ორბელიანი, გვ. 86.
[72] იქვე.

ში ერთიან მტკიცე ლაშქრის არსებობაზე ფიქრიც არ შეიძლებოდა. საქართველოში ომიანობის დროს ყოველი იარაღის დამჭერი მოლაშქრე ხდებოდა ხოლმე. ქართული ლაშქრის ძირითად ბირთვს გლეხობა წარმოადგენდა. მოლაშქრე—მიწის მუშა მშვიდობიანობის დროს თავის საქმიანობით—მიწათმოქმედებით იყო გართული, რაც ჯარის გაფანტვას იწვევდა. ქართველი ხალხისათვის უჩვეულო იყო ხანგრძლივი ლაშქრობა. ასეთ პირობებში, ცხადია, ძნელი იყო ბრძოლა ლეკიანობასთან. ლეკთა სისტემატური თავდასხმების თავიდან ასაცილებლად საჭირო იყო, ქვეყანას გაწვრთნილი, რეგულარული ლაშქარი ყოლოდა. საქართველოში ძველი დროიდანვე იცნობდნენ ლაშქრის სხვადასხვა სახეობებს. ერთ-ერთი ასეთი სახეობა იყო დაქირავებული ლაშქარი. ხშირად ქართველების დაქირავებული ჯარი ლეკებისაგანაც შედგებოდა. ასეთ ჯარს ქართველები ლეკების წინააღმდეგ ბრძოლებშიც იყენებდნენ. მაგრამ მეფის სამსახურში მყოფი ლეკის ჯარის საქმიანობა ზოგჯერ არასასურველ შედეგებამდეც მიდიოდა. ხდებოდა ისე, რომ მეფის მოწვეული ლეკის ჯარი თავისი დავალების შესრულების შემდეგ სხვა ადგილებსაც მოარბევდა. ლეკების ერთ-ერთ ასეთ საქციელს პაპუნა ორბელიანი იმით ხსნიდა, რომ ლეკებს „ნაშოვარი“ არ ეყოთო. ამდენად, ქვეყანაში დაქირავებული ლეკის ჯარის არსებობა ლეკიანობისათვის ხელისშემწყობი ერთი პირობათაგანი იყო.

* * *

ლეკიანობასთან საუკუნოვან ბრძოლებში ქვეყანაში ბრძოლისა და თავდაცვის გარკვეული წესები და ხერხები გამომუშავდა. ლეკების თავდასხმები საერთოდ ომის ხასიათს არ ატარებდა. მათი თავდასხმების თავისებურება ის იყო, რომ ისინი პატარა-პატარა რაზმებად დანაწილებულები ხან ერთ მხარეს დაესხმოდნენ თავს, ხან მეორეს. ლეკების თავდასხმების თავისებურებამ განსაზღვრა მის წინააღმდეგ შემუშავებული ბრძოლისა და თავდაცვის საშუალებებიც.

ლეკების თავდასხმებისაგან თავდაცვის ერთ-ერთ საშუალებას ციხე-გალავნების აგება წარმოადგენდა. ციხეებს პირველ რიგში ლეკების გადმოსასვლელ გზებზე აგებდნენ, გალავნებს კი სოფლების გარშემო ან სოფლის გარკვეულ ნაწილში (უმთავრესად ეკლესიების გარშემო). ომან ხერხეულიძის ცნობით, ერეკლეს მეფობაში ქართლ-კახეთში აშენდა ას სამოცამდე გალავანდა ბურჯი, ხოლო თვით ერეკლეს განუახლებია გორის ციხე, სიღნაღის, თელავის, ბოჭორმის, ყვარლის, საბუის, გრემის, პატარძეულის, ნორიოს და სხვა გალავნები. ლეკთა თავდასხმების მოლოდინში მოსახლეობა სურსათით, საჭონლით შედიოდა ციხე-გალავნებში და თავს აფარებდა გამაგრებულ კედლებს.

პაპუნას გადმოცემით, ლეკების ერთ-ერთი ლაშქრობის დროს: „ქართლისა და კახეთის ქვეყნები ასე აყრილიყო, რომ უსიმაგროდ და უციხოდ ადარავინ იდგა“.

ლეკების თავდასხმების შესაჩერებლად ლეკების გადმოსასვლელ გზებზე აკეთებდნენ თხრილებს, აღრმავებდნენ მდინარის ფონებს, კაფავდნენ ლეკების სამალავ ტყეებს და ა. შ.

გადაჭწყვეტი მნიშვნელობა ლეკების წინააღმდეგ ბრძოლაში სამხედრო ძალას ენიჭებოდა.

ლეკებთან საბრძოლველად ერთ-ერთი საშუალებათაგანი იყო „ნაბირის

ალაგას“ დგომა, „ნაპირის ალაგის“ გამაგრება და „მონაპირე ჯარის“ არსებობა[73].

მნიშვნელოვანი ღონისძიება იყო „ყარაულის“ დაყენება[74]. ლეკების ჩამოსასვლელ გზებზე, ხიდებზე, ხეობებში და ა. შ. ყარაულების გამოყვანა სოფლის მოსახლეობისაგან ხდებოდა „შეწერვით“[75]. მორიგე ლაშქრის ჩამოყალიბების შემდეგ კი ყარაულების გამოყვანა „მორიგედან“ ხდებოდა. ყარაულები გამოყავდათ კახეთის ელიდანაც. ელიდან გამოსული ყარაულები გასამრჯელოს იღებდნენ—დღეში ორ-ორ აბაზს[76].

1796 წ. იულონ ბატონიშვილის ბრძანებიდან ხოვლელებისადმი ირკვევა, რომ არსებობდა „ყარაულების“ განწესება“[77], საიდანაც აშკარაა, რომ ყარაულობა შემთხვევით ხასიათს არ ატარებდა.

ფეოდალურ ქვეყანაში ერთ-ერთ საიმედო სამხედრო ძალას დაქირავებული ლაშქარი წარმოადგენდა. საქართველოში დაქირავებული ჯარი ძირითადად ჩრდილო კავკასიიდან გამოდიოდა. მართალია, დაქირავებული ჯარის საქმიანობა ლეკიანობის წინააღმდეგ ეფექტური იყო, მაგრამ ქვეყანა ღარიბი იყო იმისათვის, რომ ასეთი ჯარი მუდმივად ყოლოდა. დაქირავებული ლაშქარი ხშირად ლეკებისაგანაც შედგებოდა. განსაკუთრებით დიდი რაოდენობით გადმოიყვანა დაქირავებული ლეკის ჯარი გიორგი XIII-მ.

საქართველოში ცნობილი იყო, აგრეთვე, ჯარის გარკვეული სახეობა „ნოქარი“. ნოქარი მოსახლეობის საკუთარი ხარჯით გამოყვანილი ჯარი იყო[78].

XVIII ს. მეორე ნახევარში, პაპუნა ორბელიანის ცნობით, ქართლელებისა და კახელებისაგან ლეკების თავდასხმების წინააღმდეგ ჩამოყალიბებულა 1000 კაციანი ლაშქარი, რომელსაც ხელისუფლება ჯამაგირს უხდიდა. ამ ლაშქრის არსებობას კარგი შედეგი გამოუღია.

ლეკიანობასთან ბრძოლის ეფექტური საშუალება იყო ე. წ. „მდევრობა“, რაც იმაში გამოიხატებოდა, რომ ქართველები მუდამ მზადყოფნაში იყვნენ და შემოშრილ მტერს უკან დაედევნებოდნენ ხოლმე. 1772 წ. კი ზემო ქართლისათვის მდევრობის კონკრეტული წესები ჩამოყალიბებულა და ზემო ქართლი სამდევრო ერთეულებად დანაწილებულა[79]. მაგრამ ყველა ზემოთ ჩამოთვლილი საშუალება მაინც არ წარმოადგენდა ლეკიანობის წინააღმდეგ ბრძოლის რადიკალურ საშუალებას. საჭირო იყო ქვეყნის სამხედრო ორგანიზაციის გადახალისება. ასეთი იყო 1774 წ. ჩამოყალიბებული „მორიგე“ ლაშქარი, რომელიც სპეციალურად ლეკიანობასთან ბრძოლისათვის შეიქმნა[80]. „მორიგე“

---

73 ხელნაწერ. ინსტ. Hd 1444; საქ. ცენტრ. არქ., კარბ. პ. არქ. რვ. 12 № 38; პაპუნა ორბელიანი, გვ. 221 და სხვ.

74 ხელნაწ. ინსტ. Hd 8596 (პირი Hd 11337); Hd 8601; ცენტრ. არქ. 226, № 4991 და ა. შ. საქ. ც. არქ. ფ. 226, № 1276.

75 საქ. ცენტ. არქ. კარბ. პ. არქ. რვ. № 29.

76 ც. არქ. ფ. 226, № 1487.

77 ხელნაწ. ინსტ. Hd 9999.

78 ნ. ბერძენიშვილი, XVIII საუკ. საქართველოს ისტორიიდან. მასალები საქართველოს და კავკ. ისტ-სათვის, ნაკვ. I, 1944, გვ. 200.

79 ეს დოკუმენტი 1952 წ. გამოაქვეყნა დ. გვრიტიშვილმა თბ. უნივერსიტეტის შრომებში, ტ. 47. ხოლო ა. კლიმიაშვილმა ხელმეორედ 1966 წ. „მაცნეში“, I, გვ. 90—95.

80 ა. კლიმიაშვილს ეს თარიღი 1755 წლისათვის გადააქვს („მორიგე ლაშქრის საკითხი-

ლაშქრის ჩამოყალიბება ლეკიანობის წინააღმდეგ შემუშავებული საშუალებების დაგვირგვინება იყო. მასში ყოველთვიურად სამორიგეოდ გადიოდა საქართველოს ყველა სოციალური ფენის წარმომადგენელი თავისი ნუზლით. ისე რომ, მორიგეს სახით საქართველოში რეგულარული ლაშქარი შეიქმნა. მორიგეს შექმნის შემდეგ ლეკთა თარეშები შესუსტდა. მაგრამ საუბედუროდ ლაშქარი მალე დაიშალა, რაც თავადური რეაქციის შედეგი იყო. „მორიგე ჯარის გაუქმება ნიშნავდა თავადების გამარჯვებას და სამეფო ხელისუფლების განტკიცებისა და პროგრესის სასარგებლო პოლიტიკის დიდ მარცხს“[81].

ლეკიანობის წინააღმდეგ ღონისძიებათა ჩატარება ამის შემდეგაც არ შეწყვეტილა. 1798 წ. გიორგი XIII ქიზიყელთათვის ლეკებთან საბრძოლველად განსაკუთრებული წესები დაუდგენია. ამ წესების თანახმად, მოთარეშე ლეკის მკვლელს საკუთრებაში რჩებოდა მოკლული ლეკის ცხენი, იარაღი და სხვა. ხოლო თუ ცოცხალს დაიჭერდა, ლეკი დამჭერს ეძლეოდა საკუთრად. ე. ი. მებრძოლი დაინტერესებული იყო პირადად. მაგრამ ლეკიანობის წინააღმდეგ ბრძოლისათვის არც ეს წესები იყო რადიკალური.

* * *

ლეკიანობის შედეგები საქართველოსათვის საბედისწერო იყო.

განსაკუთრებით მწვავედ იდგა მოსახლეობის ყოფნა-არყოფნის საკითხი იმ ადგილებში, სადაც ლეკები გზას ან ბინას დაიდებდნენ. 1731 წ. სოფ. გომი „ლეკმა და ოსმალმა ააოხრა და ლეკმა გზა იმაზე დაიჭირა და გლეხი ვეღარ დასახლდაო“[82]—გულისტკივილით აღნიშნავდა პატრიარქი ბესარიონ გაბაშვილი.

ლეკების ხშირი თავდასხმების გამო იშლებოდა მეურნეობა. მუდმივად იარაღის ქვეშ მყოფი გლეხი სამუშაოდ ვერ იცლიდა. „ამდენი ომი და ჭმალს ქვეშ ყოფა თქუენც მოგეხსენებათ კაცისაგან არ გაიძლება... გლეხმა კაცმა სამუშაოდ ვეღარ მოიცალა და ყანა რაც მომკეს ისინი (ლეკები, დ. მ.) სწვენ“—სწერდა კახეთის მეფე დავითი ვახტანგ VI[83].

XVIII ს. საქართველოში მყოფი რუსი მოხელე ბურნაშოვი აღნიშნავდა, რომ ლეკების თავდასხმების გამო მესაქონლეობა დაცემულია.

„ლეკისაგან ილაჯი აღარა გვაქვს... გავღარიბდით. მოსავალი აღარ მოგვდის, საქონელი ლეკისაგან არ შეგვრჩა, წყალი არ გვეძლევა“—წერდნენ 1770 წ. ურბნელები[84]. ეს დოკუმენტი შესანიშნავ სურათს იძლევა ლეკიანობის შედე-

---

სათვის XVIII საუკუნის II ნახევრის აღმოსავლეთ საქართველოში“ კ. კეკელიძის სახ. ხელნაწერთა ინსტიტუტის მოამბე, V, თბ., 1963). ავტორს არგუმენტად მოაქვს ის, რომ ჯარის „მორიგეობასა“ თუ „მონაცვლეობაზე“ ცნობები მოიპოვება XVIII ს. 50-იანი წლებიდან. ავტორისეულ არგუმენტაციას თუ გავიზიარებდით, მორიგე ლაშქრის თარიღის გადატანა XVIII ს. 20-იანი წლებისათვისაც შეიძლებოდა, ქახეთის მეფის დავით II-ის წერილებიდან ვახტანგ VI-ისადმი ირკვევა, რომ ქართლიდან ჯარი „რიგით და რიგით“ დგება ქახეთში. რომ „როდესაც ერთს რიგს ჯარს თავიანთ ყაენი“ გაუთავდებათ, მეორეს რიგს ჯარს“ აგზავნიან; რომ „რიგით“ (ე. ი. „მორიგეობით“, დ. მ.) გასული ჯარის „ყაენი“ (ვადა) ერთი თვეა და ა. შ. მაგრამ არც ლაშქრის ეს გასვლა მორიგეობით და არც სხვა „მორიგეობა“ თუ „მონაცვლეობა“ 1774 წლამდე არ იყო რეგულარული ლაშქარი მორიგე. ამიტომ მორიგეს ჩამოყალიბების თარიღის 1774 წლის შეცვლა ახალი თარიღით არ მიგვაჩნია გამართლებულად.

81 საქართველოს ისტორია, მაკეტი ხელწერის უფლებით, თბ., 1956, გვ. 352.

82 ხელნაწ. ინსტ. Ad, 1727.

83 დ. მეგრელაძე, დასახ. ნაშრ., გვ. 164.

84 საქ. ცენტ. არქ. ფ. 227, № 1272 (პირი).

გებისას: მოსახლეობა გაღარიბებულია, საქონელი ლეკებს დაუტაცნია, მოშლილია ირიგაცია, მოსავალი აღარ მოდის.

ასეთ მდგომარეობაში მყოფ მოსახლეობას უკანასკნელ ღონეს აცლიდა ადგილობრივი „სათხოვარი". „გამოსაღების სურსათს ნუ გვაწერთ, თორემ... სულთ იქით ილაჯი აღარა გვაქვსო"—სწერდნენ გადამხდელები ერეკლეს.

„ყველა ამ ძნელბედობის შედეგი ის იყო, რომ კულტურული მეურნეობა დაეცა და მცხოვრებთა რიცხვი კატასტროფიულად შემცირდა. ზოგიერთი მხარე მოსახლეობისაგან სავსებით დაიცალა (თრიალეთი, ყაიყული, ტაშირი, ბუჯარეთი, სომხითი, საბარათიანო), სხვაგან კიდევ ძლივს ბოგინობდა შეთხელებული მოსახლეობა. გლეხების ერთი ნაწილი დატყვევდა და უცხოეთში მონებად დაიყიდა, მეორე ნაწილი ლეკებთან თუ ოსმალ-ყიზილბაშებთან ომებს შეეხოცა; სხვები ბოლომოუღებელი ომების თანამგზავრმა შიმშილობამ და ჭირმა იმსხვერპლა, დიდმა ნაწილმა, კიდევ მიატოვა ეს გაჯოჯოხეთებული სამშობლო, და ახლობელ ქვეყნებს შეეხიზნა"[85].

მფლობელთა კლასი კარგად ხედავდა, რომ თუ გადამჭრელი ღონისძიება არ იქნებოდა მიღებული, მისი აღსასრული დადგებოდა. ერთ-ერთი ღონისძიება-თაგანი იყო 1765 წ. ერეკლეს მიერ გამოცემული ბრძანება ტყვეობიდან მოსულის თავისუფლებაის შესახებ. ამ კანონით ერეკლემ დააინტერესა გატაცებული ტყვეები. ტყვეობიდან დაბრუნებულს უფლება ეძლეოდა, თავისი სურვილით ამოერჩია ბატონი. ამით დაბრუნებულ ყმას არჩევანი ექნებოდა თავი ნაკლები ექსპლოატაციის უღელში ჩაება (ჩვეულებრივად ტყვეობიდან დაბრუნებულები არჩევდნენ მეფის ამ ეკლესიის ყმობას, რის გამოც მებატონეები პრეტენზიებს აცხადებდნენ).

სამშობლოში ტყვეების დაბრუნებაზე ზრუნავდნენ ავრეთვე ერეკლეს შემკვიდრეები გიორგი და ლევანი.

1774 წ. ლევანი ნიკიტა პანინს სწერდა, რომ რუსეთის იარაღით ყირიმიდან განთავისუფლებული ტყვე ქართველების ნაწილი საქართველოში დაბრუნდა, ნაწილს კი აიძულებენ დასახლდნენ რუსეთის სხვადასხვა ადგილებში. ლევანი სთხოვდა პანინს, რომ გამოიჩინოს მან მოწყალება და ბრძანოს დანარჩენ ქართველთა სამშობლოში დაბრუნება[86].

ქვეყნის მესვეურთა ცდებმა შედეგები გამოიღო და XVIII ს. ბოლოსათვის უკვე სოფლის ნუსხებში ვხვდებით „ტყვეობიდან მოსულებსა" და „ნალეკრებს". მაგრამ ეს ერთეული შემთხვევები ვერ ანაზღაურებდა იმ კოლოსალურ ზარალს, რაც ლეკიანობამ ფეოდალურ საქართველოს მოუტანა.

* * *

კავკასიაში რუსეთის მმართველობის დამყარების შემდეგ თანდათან საშიშველი ეცლება დაღესტნელთა საქართველოზე ლაშქრობების ხელისშემწყობ პირობებს. რუსეთის მიერ კავკასიის შეერთების დაპყრობის შემდეგ, მთიანეთი მსოფლიოს საქონელბრუნვაში ჩაება. ამან გავლენა მოახდინა დაღესტ-

---

[85] ნ. ბერძენიშვილი, XVIII საუკუნის საქართველოს ისტორიიდან. მას. საქ. და კულ. ისტ-სათვის, 1944, I ნაკვ., გვ. 178.

[86] Архив Внешней Политики России Министерства Иностранных Дел СССР. ф. Сношн. России с Грузией, д. 453, № 37.

ნის როგორც ეკონომიურ, ისევე სოციალურ განვითარებაზე. მეორე მხრივ საქართველოში რუსეთთან შეერთების შემდეგ ისპობა ის შინაგანი პირობები, რაც ხელს უწყობდა დაღესტნელთა თავდასხმებს: თანდათან ისპობა ძველი ქართული თავადური წყობილება, ქვეყანა ორგანიზაციულად მტკიცდება, თანდათან სუსტდება ლეკთა თავდასხმები, უფრო გვიან კიდევაც ჭრება.

იცვლება დაღესტან-საქართველოს ურთიერთობანიც...